15 დეკემბერს, № 26 1887 წელსა

# მწყემსი

ოფიციალური ნაწილი.

## ანგარიში

### ტფილისის სასულიერო სემინარიასთან წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზედ დაარსებული «ძმობისა» 188⁶/₇ წლისა.

წმიდა ანდრია მოციქულის სახელობაზე დაარსებული «ძმობა» ტფილისის სასულიერო სემინარიასთან იმყოფება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის მფარველობასა ქვეშ. «ძმობა» დაარსდა 30 ნოემბერს 1880 წელსა წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის დღესასწაულ დღეს, რომელსაც დღესასწაულობენ ტფილისის სემინარიის ტაძრის დღეობას; ეს «ძმობა» არის დაარსებული მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსად ყოფილის, დღეს მოსკოვის მიტროპოლიტის იოანიკეგან ტფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. ამ შვიდი წლის განმავლობაში «ძმობამ» დიდი შემწეობა აღმოუჩინა ბევრ ღარიბ მოწაფეთ, რომელთაც სიღარიბის გამო თავი უნდა დაენებებინათ სემინარიისათვის. უკანასკნელს წლებში ღარიბ მოწაფეთა რიცხვმა, რომელნიც საჭიროებენ «ძმობის» დახმარებას, შესამჩნევად იმატა, რადგან სემინარიაში მოსწავლეთა რიცხვიც გადიდდა. სემინარიის შტატით, რომელიც გამოცემულია 1867 წელში, ტფილისის სასულიერო სემინარიაში უნდა ყოფილიყო სულ 187 მოწაფე; ამათში 101 ადგილი იყო დანიშნული სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრებ მოწაფეთათვის. დღეს ჩვენს სემინარიაში სწავლობს 295 მოწაფე. ხოლო სახელმწიფო ხარჯზე მცხოვრებ მოწაფეთათვის დანიშნული ადგილის რიცხვი კი ისევ 101. ამ 295 სემინარიის მოწაფეთა რიცხვში 72 საერო წოდების ყმაწვილებია, რომელთაც უფლება არა აქვსთ სახელმწიფო ხარჯზე შესვლისა, რადგან სემინარია ინახება საქართველოს ადგილობითი სამღვდელოების ხარჯით. გარდა ამისა არც ერთ მოწაფეს, რომელნიც გურიიდგან არიან, არა აქვსთ უფლება სახელმწიფო ხარჯზე შესვლისა, რადგან გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოება აქამომდე ძალიან ცოტას ეწეოდა სემინარიას, როდესაც ყველა გურული მოწაფეები, თითქმის, მეტის-მეტი ღარიბნი არიან, ასე რომ ხშირად საშუალება არა აქვსთ იყიდონ საჭირო სახელმძღვანელოები, ფეხ-საცმელი, ტანთ-საცმელი და არ შეუძლიათ ხეირიანი ოთახები იქირაონ საცხოვრებლად.

სემინარიის მოწაფეებში ისეთი ღარიბებიც არიან, რომ მათ ოთხ-კლასიან სასწავლებლების გათავების შემდეგ არა თუ ტფილისში საცხოვრებელი საშუალება არ მოეპოვებათ, გზის ფულსაც სხვები ეწევიან მათ და ამისთანა ღარიბები, როცა კი შემოვლენ სემინარიაში, მუდამ აწუხებენ სემინარიის მთავრობას და ითხოვენ შემწეობას «ძმობიდგან». ეს «ძმობა» თავის საშუალების და გვარად, როგორც წინა-წლებში, ისე წარსულს წელში ცდილობდა დაეკმაყოფილებინა ღარიბ მოწაფეთა საჭიროება. წარსულ წელში მიეცათ: დეკემბერში გამუდმებულ შესაწევნად მიეცა 38 მოწაფეს, თითოს 3 მანეთიდგან ხუთ მანეთამდე და სულ 163 მანეთი, ერთდროებითად შვიდ მოწაფეს მიეცა 33 მანეთი და სესხად, სამშობლოში წასასვლელად, ოთხ მოწაფეს—16 მანეთი; იანვარში მიეცათ მუდმივ შესაწევნად ორმოცდა ორ მოწაფეს 177 მანეთი, ერთ დროებითად ორ მოწაფეს მიეცა 20 მანეთი და სესხად სამ მოწაფეს 13 მანეთი; თებერვალში ორმოც მოწაფეს მიეცა ყოველთვიური შემწეობა, რომელმაც შეადგინა 172 მანეთი, ერთ დროებით შესაწევნად მიეცა ორ მოწაფეს 16 მან.; მარტში ორმოც მოწაფეს მიეცათ 172 მანეთი, ერთ-დროებითად სამ მოწაფეს—17 მანეთი და სესხად 29 მანეთი რვა მოწაფეს; აპრილში 39 მოწაფეს მიეცათ 172 მანეთი, ერთდროებითად ორ მოწაფეს—11 მანეთი და სესხად ერთ მოწაფეს 10 მანეთი; მაისში 39 მოწაფეს მიეცა 169 მანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, ერთ-დროებითად 18 მანეთი მიეცა ოთხს მოწაფეს; ივნისში 37 მოწაფეს მიეცა 161 მანეთი, ერთ-დროებითად ცხრა მოწაფეს მიეცა 54 მანეთი და სესხად, სამშობლოში წასასვლელად, ოცდა ერთ მოწაფეს მიეცა—84 მ. 20 კ.; სექტემბერში ერთ დროებითად ექვს მოწაფეს მიეცათ 39 მანეთი; ოქტომბერში ოცდა ორ მოწაფეს მიეცა 90 მანეთი, ერთ-დროებითად მიეცა ერთს მოწაფეს 10 მანეთი; ნოემბერში 33 მოწაფეს მიეცა 132 მ., ერთ დროებითად მიეცა ერთ მოწაფეს 10 მანეთი, ხოლო სესხად ერთს მოწაფეს—4 მანეთი.

ამ სახით ამ საანგარიშო წელში გამუდმებულ შესაწევნად გაცემულა 1408 მანეთი; ერთ დროებითად 235 მანეთი და სესხად 156 მანეთი და 20 კაპ. გარდა ამისა დაიხარჯა ფოსტის ქაღალდზე და მარკებზე, როცა ფულს ვაგზავნიდით ხოლმე ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შესანახავად 27 კაპ. სრულიად ამ საანგარიშო წელში დაიხარჯა 1792 მანეთი და 47 კაპ.

მუდმივი და საპატიო წევრნი «ძმობისა» ამ საანგარიშო წელში.

მისი ბრწყინვალება, კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი ალექსანდრე მიხაილისძე დონდუკოვ-კორსაკოვი.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა იოანნიკე, მოსკოვის და კოლომენსკის მიტროპოლიტი.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პავლე, მთავარ-ეპისკოპოზი ყაზანისა და სვიაჟსკისა.

მისი ალმატებულება, უ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტაინი სოვეტნიკი კირილე პეტრეს ძე იანოვსკი.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მაკარი, ეპისკოპოსი დიმიტროვსკისა.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე, ეპისკოპოზი გორისა.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გრიგოლი, ეპისკოპოზი გურია-სამეგრელოისა.

საქართველო—იმერეთის სინოდალური კანტორის წევრნი არქიმანდრიტები: მაკარი და კესარი.

ამ საანგარიშო ძმობის წელში წმ. ანდრიას ძმობის გამგე კომიტეტს შეადგენდნენ შემდეგნი პირნი: თავს-მჯდომარე კომიტეტისა მ. რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი პაისი, წევრნი: არქიმანდრიტნი მაკარი და კესარიოსი, სიონის საკრებულო ტაძრის მღვდელი გრიგოლ პეტრიევი, პოლკოვნიკი ი. ა. ნიკიფოროვი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი უ. თომა ცაგარელი, ხაზინადარი ძმობისა სემინარიის ინსპექტორი, პავლე პეტროცკი.

# შემოსავალი

როგორც წინა წლებში ისე ამ საანგარიშო ძმობის წელშიაც ძმობის კასსაში შემოვიდა შეწირულება როგორც საერო წოდების პირთაგან, ისე სამღვდელოებისაგან. უკანასკნელნი გზავნიდნენ თავიანთ შეწირულებათ ან პირ-და-პირ, ან თავიანთი ბლაღოჩინების საშუალებით. ამასთანავე იდგინება სია შემწირველთა როგორც საერო ისე სასულიერო პირთა.

ცალკე პირებისაგან ამ წარსულს წელში შემოვიდა ძმობის სასარგებლოდ სულ 284 მანეთი.

საექსარხოსოს სამღვდელოებისაგან ადგილობითი ბლაღოჩინების ხელით შემოვიდა 591 მ. 77 კაპ.

გარდა ამისა სასულიერო კონცერტისაგნ, რომელიც გამართულ იქმნა დიდ მარხვაში ექსარხოსის მგალობლებისაგან ტფილისის «ართრანიეში», ყოველივე ხარჯ გარდა ძმობის კასსაში შემოვიდა 291 მანათი, შემოვიდა სემინარიის ერთი გაქრავებული სარდაფის ქირა და 1900 მ. სახელმწიფო ბანკის ბილეთის სარგებელი, აგრეთვე სარგებელი «ძმობის» იმ ფულებისა, რომელიც ინახებოდა ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და ძმობის ფულის ჩასაგდები ყუთისაგან, რომელიც ინახება ტფილისის სემინარიის ეკკლესიაში,—სულ 244 მ. 2 კ.

დააბრუნეს მოწაფეებმა 114 მ., რომელიც მათ სესხად წაიღეს ძმობის კასსიდგან.

მთელს ამ საანგარიშო წელში შემოვიდა ძმობის კასსაში სულ 1524 მ. 79 კ.

ძმობის წინანდელი წლიდან დარჩა ნაღდი ფული 810 მ. 96 კ. და სრულიად: ძმობას შემოსვლია 2335 მ. 75 კ.

აქედგან რომ გამოვრიცხოთ დახარჯული 1792 მანეთი და 47 კაპ., რომელიც გავიდა წარსულს წელში, 1887/8 ძმობის წლამდე, შემდეგი ძმობის წლისათვის დარჩება ნაღდად 543 მ. 28 კაპ. და სახელმწიფო ბანკის ბილეთები 1900 მანეთისა. სრულიად: 2443 მ. 23 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ი ა

### შემოწირულებათა და შემწირველთა, რომელთაც წარსულს წელში შემოწირეს ფულები წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებული «ძმობის» სასარგებლოდ.

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსად ყოფილის პავლესაგან აწმყო «ძმობის» წლის ანგარიშში შემოვიდა 100 მანეთი, და ამიტომ ეს ფულები არ არის ნაჩვენები ამ წლის შემოსავალში.

სიონის საკრებულო ტაძრის დეკანოზის ელიოევისაგან წარსული წლის (188½) ანგარიშში შემოვიდა ექვსი მანეთი; ბლაღოჩინის მღვდლის ნასყიდოვისაგან, ოტნოშენიით 24 ნოემბრიდამ 1886 წლისა № 356—18 მანეთი *). ეს ფულები შემოუწირავთ შემდეგ პირთ: ბლაღ. მღ. მ. ნასყიდოვს 2 მანეთი, მღვდლებს: პ. ხახუტოვს, გ. წერეთელს, ს. თავდგირიძეს, დ. ტატიევს, მ. მახათაძეს, ვ. პარკაძეს, ბ. ზიზილაურს, დ. ხმიადოვს, თ. ხახანოვს, გ. ბერიევს, ს. პაპელოვს, ე. უძნაძეს, ი. უზნაძეს, ე. ცხვეთაძეს, ს. ჯანდიევს და ს. ხახუტოვს შეუწირავთ თითო მანეთი; მისი აღმატებულების, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის უ. კ. პ. იანოვსკისაგან, წინანდელ შემოწირულებათა გარდა, ამ საანგარიშო წელში შემოვიდა 10 მანეთი; მისი აღმატებულების, ტფილისის გუბერნატორად ყოფილის უ. ზროსმანისაგან მიღებულია 10 მ., სინოდალური კანტორის მდივნის სოლომონ ჩიტაძისაგან 1 მ., არქიმანდრიტი მაკარისაგან—5 მ., პოლკოვნიკის ი. ა. ნიკიფოროვისაგან 5 მ., უ. თომა ცაგარელისაგან—5 მ., დეკანოზის ძალისტოვისაგან 10 მ., არქ. კესარიოსისაგან 5 მ. დეკ. იმნაძისაგან—5 მ., მისი აღმატებულების, ტაინი სოვეტნიკის პოსლიბინისაგან—6 მ., უ. ქართველოვისაგან—10 მ., დავით ჩილაძისაგან—5 მ., დეკ. კავკასიის ჯარის უმთავრესი მღვდლის, ს. ი. გუმილევსკისაგან—5 მ., «მწყემსი»-ს რედაქტორის დეკ. დავით ღამბაშიძისაგან, ოტნოშენიით 15 ნოემბრიდამ 1886 წ. № 197, მიღებულია 10 მ., გაენათის მონასტრის მღვდელ-მონაზონის ამბერკისაგან—5 მ., ბლაღოჩინის მღვ. ილია იაკიმოვისაგან ოტნოშენიით 26 ნოემბრიდამ 1886 წ, № 405, მიღებულია 61 მ. 50 კ. ეს ფულები შემოუწირავთ: ბლაღოჩინს ილია იაკიმოვს 5 მ., ბერძნის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელს ს. ვაფიადის 3 მ., ამავე სკოლის მასწავლებელ ქალს ს. პავილოვსკისას ორი მან. ალექსანდროპოლის ბერძნის ეკკლესიის მთავარ-დიაკონს ი. დეკანოზოვს 2 მ., ამავე ეკკლესიის მედავითნეს ფ. პოპოვს 1 მ., ამავე ეკკლესიის მცველს ი. ჯაფარიძეს 50 კ., სამრევლოდგან ბერძნებს—მერკუროვებს 25 მ., ანდრონიკ კაფაფოვს—1 მ., ვერა №ს 3 მ., ალექსი №-ს 3 მ., დავით №-ს 3 მ., ბაინდურის ეკკლესიის მღვდელს ვასილი პოლიტოვს 5 მ., ადუიცალინსკის ეკკლესიის კრებულს 4 მ., ალაველისის ეკკლესიის კრებულს 2 მ., სუბბოტანიის სამრევლოის კრებულს 2 მ.; მღვდლის ბ. ლაზაროვისაკან—5 მ.; ბლაღ. იოანნე კეზელისაგან ოტნოშენიით 30 ნოემბრიდგან 1886 წ. № 212 მიღებულია 24 მანეთი. ეს ფულები შემოსულა შემდეგ პირთაგან: ბლაღ. მღვდლის ი. კეზელისაგან 3 მ., მღვდლების: გ. ასათიანისაგან 3 მ., ი. სისაუროვისაგან 3 მ., ს. ხატის კაცისაგან 3 მ., თ. იოსებაძისაგან, წიკლაუროვისაგან, ა. კანდელაკისაგან, ბ. კანდელაკისაგან, აზ. ბარნოვისაგან, ლ. მოლოდინოვისაგან, პ. ლომინაძისაგან, ზ. კარიაულოვისაგან და მ. ინაევისაგან თითო მანეთი, მთავარ-დიაკვნების ა. ბაკურაძისაგან 1 მ., ე. ძრიელიშვილისაგან 40 კ., მედავითნეების: გ. მელიშვილისაგან 1 მ., სტ. კოჩიევისაგან 20 კ., ს. ჭეიშვილისაგან 20 კ., ს. მშველიძისაგან 20 კ.; ბლაღოჩინის დეკანოზის სიმონ ზეგიევისაგან ოტნოშენიით 8 დეკემბრიდამ 1886 წ. № 316 მიღებულია 6 მ., უ. ბალუევისაგან—6 მ., დეკანოზის ალაპიევისაგან 5 მ., მღვდლების: ანდრია ბერაძისაგან, ლეონტი მაჭავარიანისაგან, გერასიმე ხუსკივაძისაგან დეკანოზის დავით ღამბაშიძის ოტნოშენიით 17 დეკემბრიდამ 1886 წ. № 245 წარმოდგენილია 15 მ.; ბლაღ. მღვ. ასათიანისაგან, ოტნოშენიით 4 დეკემბრიდამ 1886 წ. № 173 მიღებულია

*) შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აქ არის მოყვანილი სია შეწირულებათა, რომელნიც გამოგზავნილნი არიან «ძმობის» კასაში უმთავრესად საქართველოს საეგზარხოსოს ბლაღოჩინებისაგან. თავიანთ ოტნოშენიებში ბლაღოჩინები ყოველთვის არ უჩვენებდენ შემწირველთ; ამიტომ აქ ეს უკანასკნელნი არ შეიძლებოდა აღგვენიშნა; ხოლო სიები იმ შემწირველთა, რომელნიც ნაჩვენები არიან ბლაღოჩინებისაგან, აქვე იბეჭდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 მ. 40 კ.; ბლაღ. მღვ. ოქროპირ კაჭახიძისაგან, ოტნ. 22 დეკემბრიდამ 1886 წ. № 183 მიღებულია 15 მ. 30 კ., «ძმობის» კრუშკიდამ, რომელიც სემინარიის ეკკლესიაში ინახება, ამოღებულ იქმნა 12 მ. 30 კ., ბლაღოჩინის მღვდლის იოსებ ქეიშვილისაგან, ატნოშენიით 30 დეკემბრიდამ 1886 წ. № 418 მიღებულია 7 მ. 33 კ. ეს ფულები შეუწირავთ: ბლაღ. იოსებ ქეიშვილს 1 მ., მღვდლებს: ე. ტყეშელაშვილს 1 მ. ათაბეკს 20 კ., ი. ქურქულიანს 30 კ., ი. გოგისვანს 1 მ., ფ. ფხაკაძეს 1 მ., გ. ფხაკაძეს 50 კ., ბ. ნაცვლიშვილს 40 კ. ნ. ციბაძეს 1 მ., მედავითნეებს: ყ. ცქიტიშვილს 10 კ., ივ. პუჭუხაძეს 1 მ.; სუხუმის დეკანოზის დ. მაჭავარიანისაგან მიღებულია 5 მ., ბლ. მღვ. დიმიტრი კალატოზოვისაგან ოტნოშენიით 24 დეკემბრიდამ № 327 მიღებულია 11 მ. 90 კ. ეს ფულები შეუწირავთ შემდეგ პირთ: ბლაღ. დიმიტრი კალატოზოვს 1 მ., მღვდლებს: მ. ხელაევს 60 კ., ი. ჩეკუროვს 1 მ. ს. კალოტაძეს 50 კ., ი. ბურგენიძეს 40 კ., სოზოროს კრებულს 2 მ., დ. გოგიევს 50 კ., იოანნე ხატიევს 1 მ., სვ. რცხილაძეს 60 კ., ილია შიუკოვს 40 კ. ქელიძეს 1 მანათი, 1 მ., მ. კარასოვს 50 კ., შიუკოვს. 1 მ., ღუღუმიძეს 1 მ. მედავითნეებს: ნ. ჩიკვაიძეს 10 კ., ივ. ჭიკაძეს 30 კ.; უ. არდაზიანისაგან 5 მ., სემინარიის მოწაფემ ბაკურაძემ დააბრუნა 4 მ., რომელიც წაიღო მან სესხად, ხარაევისაგან 3 მ., სემინარიის სამმართველოს ბლანკების დაბეჭვდისაგან უ. ხელაძის სტამბაში, თანახმად მისი სურვილისა, რომ ამ ფულებს ის შესწირავს სემინარიის ღარიბ მოწაფეებს სემინარიის სამმართველოსაგან მიღებულია 3 მ. 10 კ., მოწაფემ ბერნატოვიჩმა დააბრუნა 4 მ., რომელიც მას სესხად ჰქონდა წაღებული «ძმობის» კასსიდგან, სახელმწიფო ბანკისაგან შემოვიდა სარგებელი იმ ფულისა, რომელიც ეკუთვნის «ძმობას» და ინახებოდა ამ ბანკში, ანგარიშის წიგნით 6779 ნომრით 18 მ. 69 კ., მოწაფე ქურდიანიამ დააბრუნა 4 მ., მღვ. ნიკოლოზ ლიუბომუდროვისაგან მიღებულია 3 მ., ბლაღოჩინის მღვდლის იოანნე ინაევისაგან ოტნოშენიით 25 იანვრიდამ 1887 წ. № 17 მიღებულია 11 მანეთი. ეს ფულები შეუწირავთ შემდეგ პირთ: ბლაღ. ინაევს 1 მ., ალ. სალარიძეს და მის მეუღლეს 60 კ. პ. სამადოვს 60 კ., დ. ბებიევს 1 მ., ს. დიდებულიძეს 1 მ., ე. ედილოვს 1 მ., ზაქ. დავიდოვს 30 კ., გარ. დეკანოზოვს 20 კ., მ. მათიულოვს 1 მ., თ. ბერიძეს 50 კ.. ეს. გძელიევს 1 მ., კ. გურგენიძეს 40 კ., გ. ედილოვს 1 მ., მედავითნეებს: მიხ. ბატიევს 20 კ., ვ. დიდებულიძეს 60 კ., მ. ხუციევს, ი. ფანჯავიძეს და მთავ.-დიაკ. გ. ირემოვს 20 კ., მოწაფე კიკვაძემ დააბრუნა ხუთი მანეთი, ბლაღოჩინის მღვ. ვასილი ლოგვინოვიჩისაგან ექსარხოსის კანცელარიის საშუალებით, ოტნოშენიით 368 ნომრით, მიღებულია 24 მ. 20 კ., ბლაღოჩინის მღვდლის გრიგოლი პეტრიევისაგან, ოტნოშენიით 4 თებერვლიდამ 1887 წ. 38 ნომ. მიღებულია 27 მანეთი. ეს ფულები შემოუწირავთ შემდეგ პირთა: ბლაღ. მღვ გრ. პეტრიევს 5 მ., მღვდლებს: ი. ტულარინოვს 5 მ., ზვეროვს 3 მ., ბ. ზედგენიძეს 3 მ., ელიოზოვს 2 მ., კ. დავიდოვს, ა. ბარნაბოვს, დ. გულაბოვს. დ. კოჭლაძეს, მაჭაროვს, დ. გურგენიძეს, ბლაღ. მღვ. ზუმბულიძეს, მ. მელიტაურს და ჩ. გრიგორიევს თითო მანეთი; ბლაღოჩინის მღვ. თეოხარისაგან 22 იანვ. 35 ნომრით, მიღებულია 7 მანეთი; ბლაღ. მღვ. ლუკა ჭიპაშვილისაგენ, ოტნოშენიით 4 თებერვლიდამ 1887 წ. 60 ნომრით, მიღებულია 8 მ. 22 კ. ეს ფულები შემოუწირავს შემდეგ პირთ: ბლაღ. მღვ. ჭიპაშვილს 1 მ.; მღვდლებს: ბ. გოგსაძეს, ს. ქუმბურიძეს, დ. ბარათაშვილს, მ. ქუმბურიძეს, გ. ფერაძეს, ი. აბესაძეს, ი. სალაძეს, ს. მხეიძეს, ვ. ფერაძეს,, ფ. კახიძეს და ქრ. საცერაძეს სამ-სამი აბაზი, ი. მაჩიტაძეს 22 კ., დავ. მშვენიერაძეს 20 კ.; ბლაღ. მღვ. იოანნე მრევლოვისაგან ოტნოშენიით 4 თებერვლიდამ 1886 წ- ნომრით 50 მიღებულია 5 მ. 20 კ., მიღებულია 85 მ. 50 კ. სარგებელი კავკასიის პრიკაზის ორი ბილეთისა, რომელნიც ეკუთვნიან «ძმობას» და რომელთაგან ერთი არის 1000 მანეთისა 1976 ნომრით და მეორე 500 მანეთისა 2951 ნომრით, მეორე აღმოსავლეთის სესხის ორი ბილეთისაგან მიღებულია სარგებელი 4 მ. 75 კ. და მესამე აღმოსავლეთის სესხის ბილეთისაგან 7 მ. 12 კ.; ბლაღ. დეკანოზის ალექსი გეორგობიანისაგან ოტნოშენიით 22 თებერვლიდამ 1887 წ. 17 ნომრით მიღებულია 16 მ. 40 კ., ა. ი. სავანელისაგან 5 მ,, ბლაღ. მღვ. მ. სხირტლაძისაგან, ოტნოშენიით 23 თებერვლიდამ 1887 წ. 24 ნომრით, მიღებულია 16 მ. 60 კ. *); ბლაღოჩინის მღვდლის სამსონ ანჯაფარიძისაგან «მწყემსი»-ს რედაქტორის ოტნოშენიით 27 იანვრიდგან 1887 წ. 12 ნომრით მიღებულია 27 მ. 20 კ. **);

---

*) სია შემწირველთა, რომელთაც შესწირეს ეს ფულები, დაბეჭდილი იყო «მწყემსი»-ს მე-7 ნომერში 10 მარტს.

რედ.

**) სია შემწირველთა, რომელთაც შესწირეს ეს ფულები, იყო დაბეჭდილი ჩვენი გაზეთის მე-4 ნომერში 10 თებერვალს.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბლაღოჩინის მღვდლის ნიკოლოზ ხუციევისაგან, ოტნოშენიით 27 თებერვლიდამ 1887 წ. 56 ნომრით, მიღებულია 17 მ. 20 კ. ეს ფულები შეუწირავთ შემდეგ პირთა: ბლაღ. ნ. ხუციევს 2 მ., მღვდლებს: ზ. იანქოვს 2 მ., ლ. მირიანოვს, ს. გიუნოვს, დ. ალნიევს, მ. მირიანოვს, ზ. იორდანოვს, ს. ჯაჯანიძეს, დ. ლაკაშოვს, მ. ჩიკვაიძეს, ს. ფოფხაძეს და ვ. სამადოვს თითო მანეთი, იოან. აგნიევს 40 კ., ლ. ბერიევს 40 კ., იოან. ზარიძეს 40 კ., ი. ბიბილურს 1 მ., გ. საბუსკოვს 1 მ.; სასულიერო კონცერტისაგან, რომელიც გამართეს ექსარხოსის მგალობლებმა სამზღვანაურო «სობრანიაში» 22 მარტს 1887 წ., შემოვიდა 291 მ.; ბლაღ. ალექსი შარაშიძისაგან, ოტნოშენიით 20 მარტიდგან 1887 წ. № 51 მიღებულია 2 მ.; ოზურგეთის ეკკლესიების ბლაღოჩინის, არქიმანდრიტის ამბროსისაგან, ატნოშენიით 18 მარტიდგან 1887 წ. № 71 მიღებულია 13 მ. 15 კ., ბლაღ. მღვ. ერმალოზ ვეფხვაძისაგან, ოტნოშენიით 11 აპრილიდამ 1887 წ. 77 ნომრით, მიღებულია 7 მ. 40 კ.; სემინარიის მოწაფეებმა: დოლაბერიძემ დაბრუნა 3 მ., ნ. ბარნაბოვმა 4 მ., მელიამ 5 მ., ჭალაგანიძემ 3 მ., გურამიშვილმა 3 მ., პ. ბარნაბოვმა 2 მ., ა. რურუამ 5 მ., მამინაიშვილმა ნიკ. 5 მ, ან. გძელიევმა 10 მ., ვ. სეხნიევმა 1 მ., ჯაშიმ 2 მ., გ. გამრეკელოვმა 2 მ., მარგალიტაძემ 5 მ., ა. ბობოხიძემ 10 მ., კოტიევ-კოზაროვმა 10 მ., ვ. მჭედლოვმა 50 კ., ზაუტოვმა 3 მ., რურუამ 4 მ., ფხალაძემ 2 მ., იას. ლამბაშიძემ 1 მ., ავხაიძემ 6 მ., ვირსალაძემ 50 კ., პ. ბარნაბოვმა 5 მ., «ძმობის» კრუჟკისაგან შემოვიდა 18 მ. 90 კ.; ბლაღოჩინის მღვდლის თ. ასათიანისაგან, ოტნოშენიით 9 აპრილიდამ 1887 წ. 69 ნომრით, მიღებულია 5 მ. 50 კ.; გურია-სამეგრელოის ეპარქიის ბლაღოჩინისა. მგალობლიშვილისაგან თბილისის სიონის სობოროს დეკანოზის ელიევის ხელით მიღებულია 15 მ.; ამავე დეკანოზმა გადმოგვცა იმავე ეპარქიის ბლაღ. სიმონ მგალობლიშვილისაგან გამოგზავნილი 16 მ.; ბლაღ. მღვ. იოსებ ხარიტონოვისაგან, ოტნოშენიით 15 აპრილიდამ 1887 წ. 55 ნომრით, მიღებულია 19 მ. 10 კ.; ეს ფულები შემოუწირავსთ შემდეგ პირთ: ბლაღოჩინს მღვდელს იოსებ ხარიტონოვს 10 მ., მღვდლებს: იოან. მრევლოვს 1 მ. 50 კ., ქრ. ასათიანს 1 მ., ნ. მაჭავარიანს 1 მ., მ. რობიტოვს 1 მ., ო. ეპიტოვს 1 მ., გ. ციბაკოვს 50 კ., ს. ამირანიძეს 50 კ., ი. ახალშენოვს 50 კ., ზ. გოდერზოვს 20 კ., მთავარ დიაკონს ილ. ბიაევს 1 მ., მედავითნეებს: გ. ბერიძეს 50 კ., რ. ლოლაძეს და ივ. ნატროევს თითო აბაზი; საქართველოს ექსარხოსის კანცელარიის ოტნოშენიით 25 აპრილიდამ 1887 წ. 1160 ნომრით მიღებულია 6 მ. 60 კ., რომელიც გამოგზავნილია ბლაღ. მღვ. ლევან ფილიევისაგან; მესამე აღმოსავლეთის სესხის სამი კუპონისაგან შემოვიდა სარგებელი 7 მ. 12 კ.; ბლაღ. მღ. ნიკ. ცხვედაძისაგან, ოტნოშენიით 17 მაისიდგან 1887 წ. 105 ნომრით, მიღებულია 10 მ. 57 კ.; ეს ფულები შეუწირავს შემდეგ პირთ: ბლაღ. ნიკ. ცხვედაძეს 2 მ., ს. ლუკიანოვს 1 მ., შ. გლურჯიძეს 60 კ., თ. მღებრიევს 50 კ., ზ. გამრეკელოვს 1 მ., გ. ხახუტოვს 40 კ., იოსებ კავკასიძეს 60 კ., ა. კოკლაძეს 40 კ., ივ. ოქროპირიძეს 60 კ., გ. ცხვედაძეს 40 კ., იოსებ გერმანოვს და გ. ფეიქრიშვილს ორ-ორი შაური, ნ. ლაპეროვს 1 მ., ვ. კასრაძეს, ბ. თაღდგირიძეს, იოილ გამრეკელოვს და გ. ამბრიევს ათ-ათი შაური; ბლაღ. დავით ბარნაბოვისაგან, ოტნოშენიით 28 მაისიდგან 1887 წ. 85 ნომრით, მიღებულია 8 მ. 55 კ.; ეს ფულები შეუწირავსთ შემდეგ პირთ: ბლაღ. ბარნაბოვს, მღვ. გრიგოლ ელ. და გრ. ლუკიანოვს ათ-ათი შაური, დ. ხუტუშაშვილს 40 კ., ალ. დავიდოვს 50 კ., ალექ. გაგოშვილს 40 კ., ნ. აფეროვს 50 კ. ქრ. დეკანოზოვს 40 კ., დ. ელისაბედაშვილს 50 კ., ს. ინდუევს 20 კ., მ. კარგარეთელს, ნ. იაშვილს და ზაქარია იაევს თითო აბაზი, გომის მღვ, 50 კ., მიხეილ ცხვეჭავს 20 კ., ნ. ჩხარტიევს 30 კ., ფ. ელისაბედაშვილს 50 კ., ს. ღარიბოვს 10 კ., ი. ბათიევმა 20 კ., მედავითნეებს: მ. ლუკიანოვს 10 კ., ქაიხ. კაევსიძეს და ზ. სუხიტაშვილს ორ-ორი შაური, დეკანოზოვს 20 კ. პ. ჯავახაშვილს და ბ. სამადოვს, ორ-ორი შაური, გ. იაკობაშვილს 15 კ., ნ. ხორბალაძეს 10 კ., მ. დავიდოვს 20 კ., ვ. ბურბუთოვს, ახსიეშს, თ. ლომანდარიძეს, და ეს. მონასელიძეს ორ-ორი შაური; უ. ხელაძისაგან შემოვიდა მის სტამბაში სემინარიის სამმართველოის ბლანკების დასაბეჭდავი ფული 16 მ. 90 კ. საინგილოის ეკკლესიების ყოფილ ბლაღ. მღვ. დავით უტიევისაგან, ოტნოშენიით 3 იენისიდგან 1887 წ. შემოვიდა 43 მ. 16 კ.; ბლაღოჩინის მღვდლის ი. წერეთლისაგან, ოტნოშენიით 1887 წ. № 78 შემოვიდა 4 მანეთი; ბლაღ. იოსებ ციცაძისაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტნოშენიით 14 ივნისიდგან 1887 წ. 24 ნომრით შემოვიდა 15 მანეთი; ეს ფულები შეუწირავსთ: ბლაღ. ი. ცინცაძეს 1 მ., მღვდლებს: ან. კეკელიძეს, მ. ცინცაძეს, დ. სიხარულიძეს, ს. დოლიძეს, ქ. დოლიძეს, გ. დოლიძეს, კ. მახარაძეს, მ. ჩიჩუას, ი. წულაძეს, ზ. ქეიშვილს, ნ. ჩხატარაშვილს, სპირ. თურქიას, ს. ჩხეიძეს, თომა მელუუას, სერგეი მგელაძეს და თედორე ხელაძეს თითო მანეთი; ბლაღოჩინის დეკანოზის ჭიჭინაძისაგან ოტნოშენიით 15 აგვისტოდამ 91 ნომრით, მიღებულია 8 მ. 10 კ.; ბლაღ. მღვ. იოსებ კიკაჩეიშვილისაგან, ოტნოშენიით 11 აგვისტოდამ 1887 წ. 269 ნომრით მისი მთელი საბლაღოჩინოის ყველა მღვდლებისაგან 2 50 კ.; «მწყემსი»-ს რედაქტორის, დეკანოზის დავით ღამბაშიძისაგან, ოტნოშენიით 7 ეკენისთვიდამ 1887 წ. 191 მიღებულია 24 მ.;*) რომელიც გამოგზავნილი იყო ბლაღ. მღვდლის იოსებ. წერეთლისაგან; ბლაღ. მღვ. ნესტორ ყუბანიევისაგან, ოტნოშენიით 4 სექტემბრიდგან 1887 წ. 175 ნომრით, მიღებულია 7 მ. 9 კ.; სიონის საკრებულო ტაძრის მღვდლის გ. პეტრიევისაგან მიღებულია 5 მანეთი, ძმობის «კრუჟკისაგან» შემოვიდა 8 მ. 14 კ., სემინარიის რექტორის არქიმანდრიტი პაისისაგან შემოვიდა 10 მ., სემინარიის ინსპექტორის პ. ს. პატოცკისაგან 5 მ., სემინარიის მასწავლებლებისაგან: ა. პ. ალბოვისაგან, მ. ა. დობრონრავოვისაგან, პ. სვეტლოვისაგან პ. ლ. სტაროდუბცევისაგან, პ. თ. ვეკულასაგან, ივ. რუმიანცევისაგან, ვ. ი. ლოტოცკისაგან, ი. მ. გორტინსკისაგან, თ. ა. იაროსლაევისაგან, ვ. ა. ბელიაევისაგან, თ. დ. ჟორდანიასაგან და გ. ვ. ჩერტიკინისაგან ხუთ-ხუთი მანეთი, სემინარიის ინსპექტორის თანაშემწეებისაგან: ნ. დ. მახათაძისაგან 5 მ., მ. ე. არხანგელსკისაგან 5 მ., სემინარიასთან არსებული სამაგალითო სკოლის მასწავლებლის უ. ჩუგუნავასაგან 3 მ., სემინარიის ეკონომის მღვ. მ. მანასელისაგან 2 მ., სემინარიის მოწაფის ა. გეორგაძისაგან 1 მანეთი; ბლაღოჩინის დეკანოზის მ. მეუნარგიასაგან, ოტნოშენიით 11 ოკტომბრიდგან 1887 წ. ნომ. 213 მიღებულია საწევრო ხვედრი ფული 1885, 6 და 7 წლებისა, რომელიც შეადგენს 15 მ. და 38 მ. 50 კ., **) რომელიც შეკრებილია მისი საბლაღოჩინოის მღვდლებისაგან. მღვდლის ს. შოშიევისაგან 5 მანეთი, თბილისის სობორის დეკანოზის ე. ელიევისაგან 6 მანეთი, სემინარიის სარდაფისაგან, რომელიც იჯირა მეწვლეს მიხეილ დავიდოვს, შემოვიდა ქირად ძმობის სასარგებლოდ 72 მანეთი; ამავე დავიდოვმა შესწირა ძმობას 3 მ., ივანე პილიკინისაგან 5 მანეთი, სემინარიის მოწაფემ ზარაფოვმა დააბრუნა 3 მანეთი, თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებისაგან შემოვიდა სარგებელი 9 მ. 50 კ. მეორე და მესამე აღმოსავლეთის სესხის ბილეთების ოთხი კუპონისაგან; არქიმანდრიტის ნიკოლოზისაგან მიღებულია 5 მანეთი, ვარძიის მონასტრის წინამძღვრის ბერმონაზ. კალისტრატესაგან მიღებული 5 მანეთი, ოტნოშენით 1 ნოემბრიდამ 87 წლისა 23 ნომრით; მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან შემოვიდა 10 მანეთი, დეკანოზის იმნაძისაგან ძმობის მომავალი წლისათვის შემოვიდა 5 მანეთი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ესანგარიში შემდგარი იყო, როცა ქვემოთ აღნიშნული პირებისაგან შემოვიდა შემოწირულებანი და ამიტომ ეს შემოწირულებანი ჩაწერილ იქმნა ძმობის მომავალი $1887/_8$ წლის შესავლის წიგნში.

დიდუბის ეკლესიის მღვდლის ბ. ზედგენიძისაგან შემოვიდა ერთი თუმანი, თბილისის კლასიკური გიმნაზიის სამღრთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზის ხელიძისაგან 3 მანეთი, დეკანოზის პეტრე ალაპიევისაგან ხუთი მანეთი.

თავს-მჯდომარე კამიტეტისა, სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პაისი.

ხაზინადარი «ძმობისა», სემინარიის ინსპექტორი პავლე პოტოცკი.

*) ამ ფულების შემწირველთა სია დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის ამ წლის მე-19 ნომერში.

**) ამ ფულების შემწირველთა სია დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის ამა წლის 23 ნომერში.

15-ს დეკემბერს, № 26 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად | | 5 მან. |
| ნახევარი წლის — | — | 3 — |
| «მწყემსი» რუსული დამატებით | — | 6 — |
| ნახევარი წლით — | — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | — | 3 — |
| ნახევარი წლით — | — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кваирилы, Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქალაქს ქუთაისში ამა დეკემბრის 20 რიცხვს და ამ კრების გასარჩევი და გადასაწყვეტი საგნები.

როგორც სჩანს მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოწერილობისაგან, სამღვდელოების დეპუტატების კრება არის დანიშნული ქ. ქუთაისში ამა თვის 20, 21 და 22-ს რიცხვებში. ამ წელში ეს მეორედ იკრიბებიან იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატები მათი ოლქის სასულიერო სასწავლებლის შესახებ. უკანასკნელი კრება სამღვდელოებისა იყო ივნისის თვეში; ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს, მაინც-და-მაინც, ბევრი საქმეები არა ჰქონიათ გასახილველად და გადასაწყვეტად. კრებამ მხოლოდ განიხილა სასწავლებლის წარსული წლის ხარჯი და დაამტკიცა მომავალი წლის ხარჯი, იგისრა 750 მან. შეტანა ყოველ წლობით თბილისის სასულიერო სემინარიის მესამე ნორმალურ კლასთან პარალლელური განყოფილების გასახსნელად და ერთ დროებით შეიტანა 150 მანეთი, რომელიც ეთხოვებოდა ამ სამღვდელოებას გასახსნელი განყოფილების საჭირო საგნების მოსაპოებლად.

სამღვდელოების ეს ახალი კრება გამოიწვია უმთავრესად უწმიდესი სინოდის უქაზმა, რომელსაც არავინ არ მოელოდა. აი საქმე რაშია: იმერეთის საეკკლესიო ხაზინის შემოსავალმა აღარ იკმარა ამ ეპარქიის ყველა ხარჯების დასაფარავად. ამისათვის ადგილობრივი სასულიერო მართებლობა უმაღლესი მთავრობისადმი მიიქცა თხოვნით, რომ ან ხარჯი შემოკლებულიყო და ან სახელმწიფო ხაზინიდამ გამოსული ფულით დაფარულიყო ეს მეტი გასავალი. უწმიდესმა სინოდმა ყოველივე ხარჯი ეპარქიისა დაამტკიცა და ამ ხარჯის დასაფარავად იმ ფულებიდგან, რომელიც ყოველ წლობით ხაზინიდამ ეძლეოდა სამღვდელოებას ნორმალური კლასების შესანახავად, სამი ათასი მანეთი ხაზინის ფული უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნა. ამ სამი ათას მანეთში შედის სასწავლებლის პანსიონის შესანახავი ფული 1500 მან., სასწავლებლის შენობის შეკეთების (რემონტი) ფული 620 მანეთი და სასწავლებლის წიგნთ საცავისა 100 მანეთი. ამნაირად პანსიონის, სახლის შეკეთების და წიგნთ საცავის ხარჯი, რომელიც სამიათას მანეთამდე ადის, სასულიერო წოდებას ედება თავზე ყოველ წლობით. ვინაიდგან სამღვდელოებას ეს ნამეტანი ფულები არ აქვს, ამისათვის სასწავლებლის სამმართველოს განუზრახავს და გადაუწყვეტია, რომ ჯერ-ჯერობით დახუროს რამდენიმე მოსამზადებელი კლასი და შემდეგ განზრახვა არის სულ დაიხუროს ეს კლასები. სასულიერო მართებლობას სრული უფლება აქვს სამღვდელოებაზე დამოკიდოს ყველა მოსამზადებელი და პარალლელური კლასების შენახვა, ვინაიდგან უწმიდესი და უმართებულესი სინოდის უქაზის ძალით საეკკლესიო ხაზინის საშუალებით ინახება მარტო ნორმალური ოთხი კლასი სასწავლებლისა. მაშასადამე სამღვდელოების კრებას დიდი გამჭრიახობა და დიდი მოფიქრება ჰმართებს, რომ ეს საქმე ისე რიგიანად და მოფიქრებით გადასწყვიტოს თავის შვილების სასარგებლოდ, რომ ბოლოს თავის დადგენილობა სანანებლად არ გაუხადოს სამღვდელოებას.

ამ ბოლო ხანებში როგორც რუსერში, ისე ჩვენშიაც რაღაცა გახშირდა ლაპარაკი მოსამზადებელი კლასების დახურვაზე. მართლა, რომ დააკვირდე კაცი ამ მოსამზადებელი კლასების ხარჯს, დარწმუნდები, რომ ამ კლასების შენახვაზე დიდი ხარჯი მისდის სამღვდელოებას. აიღეთ, თუ გინდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასების ხარჯი. ამ სასწავლებელთან არის ექვსი მოსამზადებელი კლასი, რომელშიაც სწავლობს სამასი მოწაფე. თვითოეულ სასულიერო სასწავლებელში შაგირდების რიცხვი სასწავლებლის წესდებით არ უნდა აღემატოს 160 და აქ მარტო მოსამზადებელ კლასებში ორი ამდენი რიცხვია! ამათ გარდა კიდევ არიან მთხოვნელები მოსამზადებელ კლასში შესვლისა, მაგრამ ბევრს უარით ისტუმრებენ... ხშირად შევხვდერივართ ხოლმე გაცხარებულ ბაას სამღვდელო პირთა, რომელნიც ძლიერ უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ ყველა მათი შვილები არ მიიღეს სასწავლებელში უადგილობისა გამო და სასწავლებლის ხარჯს კი ახდევინებენ.

როგორც ვიცით, იმერეთის სამღვდელოებას უფრო მეტი ხარჯი მისდის მოსამზადებელ კლასებზე, ვინემ სასულიერო სასწავლებლის ოთხ პარალლელურ კლასზე. თუ სამღვდელოება თვითონვე არ ცდილობს, რომ თავის შვილი იმდენად მოამზადოს, რომ პირ-და-პირ პირველ კლასში მისცეს და თუ ამ მიზეზით ნამეტანი ხარჯი ეძლევათ მათ ბავშვების მოსამზადებლად, ვიღას უნდა უწყრებოდეს და რაღათ უნდა ჩივოდეს, რომ ბევრი ხარჯი მისდისთ შვილების მოსამზადებლად.

ძველი დრო წავიდა მოუბრუნებლად. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით, სასწავლებელში მოსამზადებელი კლასების ხსენებაც კი არ ყოფილა. მაშინ სამღვდელოებას არა თუ ხარჯს სთხოვდნენ სასწავლებლის შესანახავად, პირ იქით ეხვეწებოდნენ, შვილები, შემოიყვანეთო, მაგრამ მშობლები თავიანთ შვილებს დიდის ქრთამით ჰფარავდენ და ბევრს ზომას ხმარობდენ, რომ მათი შვილები არ წაეყვანათ სასწავლებელში, დღეს პირ იქით იძლევიან ფულებსა, რომ მათი შვილები როგორმე მიიღონ სასწავლებლებში! ძველი დროის მიჩერება სამღვდელოებას არ გამოადგება. ტყუილი უბრალო დამდურება ეხლანდელი დროისაცა არას მოუტანს. აქ ორში ერთი უნდა აირჩიოს სამღვდელოებამ: ან დახუროს მოსამზადებელი კლასები და ან გაიწეროს მის შესანახავად ახალი ხარჯი.

სამღვდელოებას უკვირს, რომ დღეს ყველაფერი საქმე და განსაკუთრებით მასწავლებლისა დიდ ხარჯს ითხოვს, მცირე ჯამაგირს არა კმარობს. ამ ყველასათვის სამწუხარო მოვლენამ დღეს ყველა წოდებაში იჩინა თავი. ცხოვრება შეიცვალა. ძველებური აღარაფერი მოსწონთ. ახალმა ცხოვრებამ ახალი მოთხოვნილება მოიტანა. ამასთან ძლიერ უკვირს სამღვდელოებას, რომ ორ მასწავლებელში ერთს 900 მანეთი ეძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევა თორმეტ გაკვეთილისათვის, ხოლო მეორეს 420 მანეთი. ამისთანა გაურკვეველი საქმეები ბევრი არიან და ჩვენც ძლიერ გვიკვირს, მაგრამ დღეს მაზედ ლაპარაკი არა ღირს; დღეს სამღვდელოებას სულ სხვა საგანზე ჭმართებს მოფიქრება.

რამდენადაც შევიტყვეთ ჩვენ, სამღვდელოების აზრი მდგომარეობს მასში, რომ მოსამზადებელი კლასები დარჩეს ისევე და, თუ სულ ყველა არა, დასაწყის კლასებს გარდა მაინც მიუცილებლად, მაგრამ ისე, რომ სამღვდელოებას ახალი ხარჯი არ მოემატოს. რამდენიც უნდა მოცრიდოს სამღვდელოება ახალ ხარჯს, მაინც არ შეუძლია თავი განითავისუფლოს მოსალოდნელი ახალი გარდასახადისაგან. მომავალ წელში შეიძლება სამღვდელოებას მოეთხოვოს თბილისის სასულიერო სემინარიის მეოთხე კლასთან პარალელური განყოფილების გასახსნელად იმდენივე ხარჯი, რამდენიც ამ წელში გარდახდა. შეიძლება შემდეგშიაც მოეთხოვოს ამისთანა განყოფილების გასახსნელად ახალი ხარჯი. მაგრამ სამღვდელოებას, თუ იგი კარგად მოიფიქრებს, ბევრი რამ საშუალება აქვს ხელად, რომ ეს ახალი გადასახადი ადვილად გარდაიხადოს.

სასწავლებლის ახალმა წესდებულებამ, მართალია, სასწავლებლის შენახვა სამღვდელოებაზე დამოჰკიდა, მაგრამ შეძლების აღმოსაჩენად ბევრი რამ სახსარი უჩვენა, ბევრი წყაროები აღმოუჩინა ფულების შეკრებისათვის. ეს საშუალებანი და წყაროები დღეს მღვდლების ხელთ არის და მათ სრული უფლება აქვსთ მოიხმარონ ეს წყაროები თავიანთ სასწავლებლების სასარგებლოდ. აი ეს საშუალებანი და წყარონი, რომელნიც მღვდლების ხელთ არიან:

1) სანთლის წმინდა შემოსავალი.

1808 წელში უმაღლესად დამტკიცებული სტაროსტების ინსტრუქცია შესახებ წმინდა სანთლის წარმოებისა და აქედან ქემოსული ფულის დახარჯვისა ისე გაურკვეველი არის, რომ ხშირად გამოიწვევს ხოლმე როგორც სტაროსტების მხრით, ისე, თითქმის, მთელი მრევლის და საზოგადოების მხრითაც საპატიო და საყურადღებო ცილობას, რომლის ახსნა და განმარტება, ჩვენის აზრით, მიუცილებელია. ეს ცილობა და უსაფუძვლო რტვინვა და საყვედური ბევრს ადგილას წარმოსდგება ხოლმე ჩვენში ზოგიერთი ბლაღოჩინების და თვით მღვდლების წყალობით.

აი უქაზებში რა სწერია წმინდა სანთლის ფულების ხმარების შესახებ: თანახმად კომიტეტის დადგენილობისა სასულიერო სასწავლებელთა გაუმჯობესობისათვის და დამტკიცებულისა უმაღლესად 26 ივლისიდამ 1808 წლისა სანთლის მთელი წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასულიერო სასწავლებლების შესანახავად. ამ კომიტეტის აზრით ყველა შემოსავალი უნდა შეკრებილიყო იმდენი თავნის შესადგენად, რომ ამ ფულის სარგებლით შეძლებულიყო სასულიერო სასწავლებლების შენახვა (იხილე უქაზი უწ. სინოდისა 1809 წ. 1 ივლისიდამ). ამისათვის 147 პარაგრაფი კონსისტორიათა წესდებისა ვალდებულ ჰყოფს მღვდელმთავრებს, რომ განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ სანთლის წარმოების საქმეს.

სანთლის ფულების დახარჯვა გარეშე საგნებზე, გარდა სასწავლებლებისა, აღკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში არა აღმასრულებელი ამა უქაზისა ისჯება სასტიკად (იხილე უწ. სინოდის უქაზი 7 ოქტომბრიდამ 1808 წლისა).

რასაკვირველია, სასწავლებლის ახალი წესდებულების შედგენის დროს, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, სასულიერო სასწავლებლების შენახვა უმაღლესმა მთავრობამ დაამოჰკიდა სამღვდელოებაზე, მაგრამ აქ მთავრობას სანთლის შემოსავალი ჰქონდა სახეში უმთავრესად. მართლადაც რუსეთში ყველა სასულიერო სასწავლებლები უმთავრესად ამ შემოსავლით ინახებიან. სადაც ეს შემოსავალი არ აკმაყოფილებს სასწავლებლის მოთხოვნილებას, იქ სამღვდელოებას ეძლევა ნება ეკკლესიის სხვა შემოსავალიც მოიხმაროს სასწავლებლის შესანახავად.

2) ეკკლესიის კრუშკის და სხვა შეწირულებით შემოსავალი.

სასწავლებლების უმაღლესად დამტკიცებულ წესდებულებათა შინა სწერია:

სასულიერო სასწავლებლები ინახებიან სინოდის შეწყობით და სამღვდელოებისაგან გამონახულ ეპარქიის

ეროვნული ბიბლიოთეკა



საშუალებათაგან. სამღვდელოებისაგან გამონახულ საშუალებას შეადგენს ეკლესიის შესავალი კრუშკით და სხვა შეწირულებით.

3) ზოგიერთი საეკლესიო მამულები, რომელნიც სამრევლო ეკლესიებს დარჩა სხვა საეკლესიო მამულების ხაზინის უწყებაში გადასვლის დროს.

1872 წელში კრებამ, სხვათა შორის, ამ საეკლესიო მამულებსაც დაადვა გადასახადი: ქცევა ვენახიან მიწას ათი შაური და სახნავ მიწას ორი აბაზი. ამ მიწების შემოსავლიდგან რომ მანეთზე ორი შაური გაიწეროს, ესეც კარგა ფულს შეადგენს.

ერთი სიტყვით, თუ სამღვდელოება რიგიანად მოიფიქრებს, მრავალ წყაროს აღმოაჩენს მოთხოვნილი საჭირო ფულების შესაკრებლად.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

## ტფილისის სასულიერო სემინარიის ტაძრის დღეობა და წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის «ძმობის» წევრთა საზოგადო წლიური კრება.

30 ნოემბერს ტფილისის სასულიერო მართლმადიდებელმა სემინარიამ დიდებულად იდღესასწაულა თავის ტაძრის დღეობა სადიდებლად წმ. მოციქულის ანდრია პირველ წოდებულისა, რომელმაც იესო ქრისტეს მეორე მოწავე სიმონ კანანელთან ერთად პირველად შემოიტანა კავკასიაში ქრისტეს სწავლა. ამ დღეს სემინარიის ტაძარში მწირველი ბძანდებოდა საქართველოს ახალი ექსარხოსი პალლადი. მათი მეუფება მობძანდა ეკლესიაში დილის ათს საათის ნახევარზე. თუმცა ადგილობით გაზეთებში წინ-და წინ გამოცხადებული არ იყო, რომ ამ დღეს სემინარიის ეკლესიაში მწირველი იქნებოდა მათი მეუფება, მაგრამ ეკლესია ისე აივსო ხალხით, რომ ადგილი აღარ იყო ცარიელი. წირვა და პარაკლისი შეასრულა მათმა მეუფებამ ტფილისის წარჩინებულ მღვდელ-მონაზონთა თანადასწრებით. ტრაპეზში ბრძანდებოდენ ორი ვიკარი ექსარხოსისა,—პატივცემულნი მღვდელთ-მთავარნი — ალექსანდრე, ეპისკოპოსი გორისა და გესარიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა. ზიარების დროს სემინარიის ერთმა მასწავლებელმა ურუშიანცევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მსმენელთ დაუხატა ანდრია პირველ-წოდებულის ცხოვრება და მოღვაწეობა. წირვის და პარაკლისის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ გაიხადა შესამოსელი, ჩაიცვა მანტია, გამობძანდა ტრაპეზიდამ, დადგა ამბიონზე და წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელიც მიმართული იყო სემინარიის მოწაფეებისადმი. ამ სიტყვაში მათმა მეუფებამ მოკლედ გამოხატა მისიონერული მოღვაწეობა წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულისა, რომლის შემდეგ მათმა მეუფებამ შემდეგი სიტყვით მიმართა მოწაფეებს: «თქვენ ემზადებით მღვდლობის თანამდებობისათვის და ამიტომ ყოველთვის თვალ-წინ უნდა გედგესთ წმ. მოციქული ანდრია პირველ-წოდებული და თქვენს მომავალს სამსახურში უნდა მიჰბაძოთ მას და ეცადოთ, რათა ისეთივე მუყაითნი და ეკლესიის მოსამსახურე იქნეთ, როგორიც იყო წმ. ანდრია მოციქული. მომავალი მოღვაწეობის დროს თქვენ უნდა იმეცადინოთ, რათა თქვენი კარგი ყოფა-ქცევით და მაღალის ზნეობით გვამხიარულებდეთ ჩვენ, თქვენს აღმზრდელებს. დასასრულ მოვიწოდებ თქვენზე, მოწაფენო, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს და ჩემ ლოცვა-კურთხევას, რათა შეგეწიოსთ თქვენ უფალი და ხელი მოგიმართოს თქვენს მომავალს მოღვაწეობაში. ამის შემდეგ მათი მეუფება მთელის სამღვდელოებით და მრავალის ხალხით შებძანდა სემინარიის შენობის ერთ შესაკრებელ ზალაში, სადაც მოწაფეებმა, მათი მეუფების შებძანების დროს, იგალობეს «მეუფეო-ზეცათაო», რომლის შემდეგ მათმა მეუფებამ გახსნა კრება წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებული «ძმობისა», რომელსაც მიზნად აქვს შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს სემინარიის ღარიბ მოწაფეებს. კრების გახსნისა თანავე სემინარიის ინსპექტორმა უ. პატოცკიმ წაიკითხა ათას რვაას ოთხმოცდა ექვსის და ოთხმოცდა შვიდი წლების «ძმობის» ანგარიში, რომელიც ამავე ნომრის ოფიციალურ განყოფილებაში არის დაბეჭდილი. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ შეუდგნენ «ძმობის» გამგე კომიტეტის თავს-მჯდომარის და წევრების არჩევას. თავს-მჯდომარედ ერთ-ხმით აღმორჩეულ იქმნა სემინარიის რექტორი, მამა პაისი, რომელმაც ასე მოკლე დროში დაიმსახურა მთელი საზოგადოების სიყვარული და პატივის ცემა. გამგე კომიტეტის წევრებად აირჩიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



არქიმანდრიტნი მაკარი, ნიკოლოზი, კესარი, პოლკოვნიკი ა. ნიკიფოროვი, დეკანოზი არდაზიანი და მღვდელი შოშიევი. სარევიზიო კომმისიის წევრებად აირჩიეს: დეკანოზნი იმნაძე, კალისტოვი და ერთიც საერო წოდების პირი. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ, «ძმობის» საპატიო წევრმა, შესწირა «ძმობას» 175 მანეთი. ყველამ იცის, რომ ეს «ძმობა» დაარსა თავის მეცადინეობით მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ იოანნიკემ, დღეს მოსკოვის მიტრაპოლიტმა. როცა თავს-მჯდომარის და წევრების ამორჩევა გათავდა, მათმა მეუფებამ მადლობა შესწირა «ძმობის» წევრთა მათი სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და ისურვა, რომ «ძმობის» შეძლებამ იმატოს. შემდეგ მოწაფეებმა იგალობეს «ღირსა არს», რომლის შემდეგ კრება დაიშალა. მათი მეუფება მიპატიჟებულ იქმნა საუზმეზე, რომელიც გამართული იყო მამა რექტორის სახლში. საუზმეზე მიპატიჟებული იყო სამღვდელოება, სემინარიის მასწავლებელნი და ზოგიერთნი წარჩინებულნი პირნი. მრავალი სადღეგრძელოები წარმოითქვა. საუზმის დროს დეკანოზმა ნ. ა. კალლისტოვმა მთელი სამღვდელოების სახელობით მშვენიერი სიტყვა უთხრა მათ მეუფებას. აი ეს სიტყვა: „თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსთ-მთავარო, შვილებრივი და განუსაზღვრელი გულს მოდგინებით გეგებებოდა შენ საქართველოს ერი ყველგან, რაც კი თქვენმა მეუფებამ ფეხი შემოდგა საქართველოში და მოემგზავრებოდით საქართველოს სატახტო ქალაქისაკენ. ეს ერი გეგებება შენ როგორც ღვთის მღვდელ-მთავარსა და თავის მთავარ-ეპისკოპოზსა, რომელიც მოწოდებულ იქენით ამა ქვეყანაში ჩვენი გვირგვინოსანი ხელმწიფის ბრძანებით და უწმიდესი სინოდის დანიშვნით. პირველ დღესვე თქვენის მეუფების შემობძანებისა გამოგვეცხადე შენ, როგორც «ანგელოზი მშვიდი» და სიონის ტაძარში, მსგავსად ქრისტე მაცხოვრის მცნებისა, გადაეც მშვიდობა და ლოცვა-კურთხევა შენს ახალს სამწყსოს, რომელმაც უკვე შეგიყვარა შენ. ბევრი მძიმე განსაცდელი და მწუხარება გამოუცდია საქართველოს. როგორც მოწმობს ისტორია, თითოეული მტკაველი მიწისა მორწყულია დიდი მოწამეების სისხლით, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოებისათვის ეწამნენ მუსულმანებისაგან; რამდენ გზის დასცემიან საქართველოს თავზე გროვა ველურთა და შუა აზიის მოსისხლე ლაშქარნი და აუოხრებიათ საქართველო, დაუწვავთ და დაუნგრევიათ ტაძრები ქრისტესი, რომლის სწავლა მოძღვრება მოჰფინეს საქართველოში მოციქულებმა ანდრია პირველ-წოდებულმა და სიმონ კანანელმა და შემდეგ მათმა ღირსეულმა მოადგილემ წმ. ნინამ. საქართველოს ბევრმა დიდებულმა და წარჩინებულმა შვილებმა სწორეთ რომ ნათელს იღეს «ცეცხლითა». მადლობა ღმერთს, რომ ისინი არ დაეცენ სულით, არ მოხარეს თავი ისლამისა და მისი ნახევარი მთვარის მსგავსი დროშის წინაშე, არამედ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა მათში ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელიც უანდერძეს მათ მათმა ძლევა მოსილმა წინაპრებმა! მის შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე კურთხეულმა აღმოუჩინა საქართველოს შემწეობა და მიიღო ის თავის მფარველობაში, საქართველოს ერმა მრავალ გზის დაამტკიცა, რომ იგი მზად არის თავის სიცოცხლე შესწიროს სარწმუნოებას, მეფესა, ტახტსა და სამშობლოს. ვინ არ იცნობს საქართველოს დიდებულ და ბრწყინვალე სახელმწიფო პირთ, თავადებს: ბაგრატიონ იმერეთისას *), ორბელიანებს, ციციანებთა, ბებუთოვებს, ჭავჭავაძეებს, ამილახვრებს, ამირეჯიბებს, გურიელებს და სხვათა მრავალთა!

ამასთანავე, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, საქართველო ღვთის-მშობლის წილ-ხვდომილი ქვეყანა, სავსე ქრისტიანული ნაშთებით, ქვეყანა ესე კეთილ ნაყოფიერია, აქაური ერი მეტის-მეტი მოსიყვარულე და პატივის მცემელია ყველასი და განსაკუთრებით რუსებისა. ყოველივე ესე, მწყემსთ-მთავარო, გიმტკიცებს თქვენ, რომ ეს ერი ღირსია თქვენი უმაღლესი ყურადღებისა, რწმუნებისა და სიყვარულისა. გვერწმუნეთ ჩვენ, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო პალლადი, რომ საქართველო ღირსეულად დააფასებს მის სიყვარულს, ვინც კი შეიყვარებს მას, ამის თავდებია თქვენთვის, ერთის მხრით, საქართველოს ისტორიული წარსული და მეორეს მხრით რუსეთის ეკკლესიის ორი შესანიშნავი მღვდელ-მთავრების—მაღალ ყოვლად უსამღვდელოესთ ისიდორეს

*) გენერალ-ოტინფანტერი თ. პ. ი. ბაგრატიონი უფროსი იყო დასავლეთის მეორე ჯარისა 1812 წ. ნაპოლეონის წინააღმდეგ. ბოროდინოსთან ჩხუბში დაიჭრა ყუმბარით და 12 სექტემბერს ამავე წელში გადაიცვალა.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იოანნიკეს მოწმობა, რომელნიც საქართველოს ექსარხოსებად ბძანდებოდენ, განაგებდენ საქართველოს ეკკლესიას და თავის შემდეგ დატოვეს აქ საუკუნო სახელი. ყოველივე შენს კეთილს მოქმედებას, მეუფეო, საქართველო ღირსეულად დააფასებს. პირველს თქვენს სიტყვაში, რომელიც სავსე იყო ქრისტიანული სიმშვიდით და სიბრძნით, გამოსთქვით, რომ ყველანი, რომელნიც მოწოდებულნი არიან აქ მსახურებად, შეგეწიონ შენს მოღვაწეობაში და კეთილადაც ინებე! ვეცადოთ დაგარწმუნოთ შენ, რომ შენ მარტო არ დარჩები, არამედ იპოვნი შენი საქმისათვის ღირსეულ თანამშრომელთ, რომელნიც სიყვარულისა გამო თქვენი მეუფებისადმი, თავის სულიერი წინამძღვრის და ხელმძღვანელისა, სიხარულით შესწირავენ თავის დროს და შრომას, თუმცა კი თქვენმა მოწყალე და გამოცდილმა შეხედულებამ აღირჩია ისინი. გენიოსმა ჰენრიხ პესტალოცცმ ერთს მის თხზულებაში სთქვა: «სიყვარულში იმალება სასწაულთ-მომქმედი და ღვთიური ძალაო». ამ ყოვლად შემძლე ძალის სახელით, რომელიც ჰბადავს სულიერ ერთობას იქ, სადაც არსებობს ძმური სიყვარული. ჩვენ, შენი ახალი სამწყსო და თქვენი თანამსახურენი, მოგეგებებით შენ დღეს, როგორც თავის ძვირფასს მწყემსთ-მთავარს და გთხოვთ შეგვიყვარო ჩვენ, გვიხელმძღვანელო, გვასწავლო და დაგვარიგოთ, რათა წარვმართოთ სიტყვა ჭეშმარიტებისა."

ამ სიტყვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ მადლობა გამოუცხადა დეკანოზს ქალისტოვს კეთილი გრძნობის გამოხატვისათვის და ბრძანა, რომ ჩემის მხრით ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რათა სასარგებლო მოღვაწე გამოვდგე საქართველოს ეკკლესიისა და ერისათვისო. ბოლოს მათმა მეუფებამ მიირთვა სემინარიის მასწავლებლების სადღეგრძელო, მადლობა შესწირა მათ და სთხოვა, რათა მათ თავიანთი მეცადინეობა გააორკეცონ მათდამი რწმუნებულ მოწაფეთა საკეთილ-დღეოდ. შემდეგ მათმა მეუფებამ ლოცვა-კურთხევა მისცა ყველას და შინ წაბძანდა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

## იუბილეი გენერალ ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქოვისა.

კვირას, 6 დეკემბერს, ტფილისში დიდის ამბით იდღესასწაულეს ორმოცდა ათის წლის იუბილეი სახელოვანის და მრავლად-ნაყოფიერის სამსახურისა და მოღვაწეობისა გენერალ ადიუტანტის, კავალერიის გენერლის, თავადის ლევან ივანეს ძის მელიქოვისა, სახელმწიფო რჩევის წევრისა. თავადი ლევანი ჯერ კიდევ ჯან საღად არის და დღესაც ნამდვილი გმირისა და მამაცის შეხედულება აქვს. თავად ლევანს არა ერთხელ გამოუჩენია თავი ჩხუბის ველზე; მას დიდი სამსახური მიუძღვის როგორც კავკასიის, ისე მთელი რუსეთის წინაშე. იუბილიარის სამსახური კავკასიის და დაღესტანის აღების საქმეში ცნობილია როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. დასავლეთი ევროპის ისტორიკოსნი, როგორც კი ისინი დაიწყებენ ლაპარაკს აღმოსავლეთის და დასავლეთის კავკაზიის დამორჩილებაზე, უსათუოდ მოიხსენებენ ხოლმე თავად ლევანის ბრწყინვალე და გმირულ მოქმედებათა, რომელთა შესძინეს ასეთი პატივის ცემა და საჩუქრები იუბილიარს. თავადი ლევანი შესანიშნავია როგორც სამხედრო მოღვაწე და გამოცდილი ადმინისტრატორი, რომელმაც მოახერხა დაღესტანის მხარის ველური ხალხის დამორჩილება. ბევრი ამის-თანა ღვაწლი მიუძღვის თავადს ლევანს, და ამიტომაც ის ასე დიდად დაჯილდოვებულია ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომელმაც დანიშნა თ. ლევანი სახელმწიფო რჩევის წევრად 1882 წელში და 1883 წელში უმოწყალესად უბოძა მას ორდენი წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულისა. როგორც კაცი თავადი ლევანი მეტად პატიოსანი, კეთილი და თავ-მდაბალია.

ამ იუბილეის დღესასწაულის დღეს სიონის საკრებულო ტაძარში მწირველი ბძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადი. წირვის გათავების შემდეგ მათი მეუფება თავის ვიკარებით ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეთი, ბესარიონით და სუხუმის ეპისკოპოზი გენნადით და ტფილისის წარჩინებული სამღვდელოებით წაბძანდა მთავარ-მართებლის სასახლეში იუბილიარის მისალოცავად. ნაშუადღევის ორ საათზე სასახლეში შეიკრიბნენ ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურენი. ორ საათზე სასახლის ეკკლესიაში შემობძანდა თვით იუბილიარი თავადი ლევან მელიქოვი, რომელსაც მოჰყვებოდნენ: თავადი ა. ი. დონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუკოვ-კორსაკოვი და ადგილობითი გენარლები, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო პალლადიმ შესრულა სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის გადახდის შემდეგ ყველანი წაბძანდნენ დარბაზში, სადაც მათმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ იუბილიარს უთხრა შემდეგი გრძნობით სავსე სიტყვა:

„ღირს-პატივცემულო და მხნეობით მოსილო თავადო, ლევან ივანეს ძევ!

„ნებითა ყოვლად-შემძლებელის ღვთისა, რომლის ხელთა არიან ჟამნი და წელნი ჩვენნი, თქვენ მიაღწიეთ ტახტისა და მამულისადმი თქვენის სახელოვანისა და მრავალ-ნაყოფიერის სამსახურით ხათელსა და სასიხარულო დღეს ორმოცდა-ათის წლის იუბილეისას. შეუძლებელია, არ იხილოს კაცმა ამ გარემოებაში ცხადი ნიშანი ღვთის განსაკუთრებულის წყალობისა თქვენ მიმართ. ესეთ წყალობას მოუვლენს უზენაესი განგება მხოლოდ მცირედს წილს რჩეულ მოღვაწეთა.

«შუალმა უხვად დაგასაჩუქრათ თქვენ მრავლის ძლიერითა და გამოჩინებულის ბუნებითის ნიჭით, გი-ბოძათ,—ვიტყვი სახარების სიტყვით,—ხუთი ტალანტი, რომელსაც თქვენ შესძინეთ კიდევ ხუთი. თქვენის დაუღალავის გულ-მოდგინებითა, თქვენის შეუდრეკელის სიმხნითა ფრიადად განავითარეთ თქვენი მდიდარი ნიჭი და ბრწყინვალე წარმატებით გამოიყენეთ იგი ცხოვრებაში სამსახურის სარბიელზე. ფრიად დიდი, მრავალ ფერი, დიალ საძნელო და მრავალ-ნაყოფიერი იყო თქვენი სასიქადულო მოღვაწეობა ნახევარ საუკუნის განმავლობაში. დიდის ხნის ღვაწლითა და სასიქადულო მხნეობით მიაღწიეთ ყოველსავე, რასაც კი მოიწადინებს თქვენს გარემოებაში მყოფი კაცი. თქვენ დიდ ღირსეულად ატარებთ სახელს მაღალის სამხედრო მხნეობის და ბრძენის კაცისას. თქვენის მხნეობით მოსილი სახელი ჩაიწერა სამშობლოს ისტორიაში და დაამშვენა უფრო მეტად თქვენის მშობლის ქვეყნის ისტორიის ფურცლები. მაგრამ ჩემი რიგი არ არის აღვრაცხო სიმხნე და მამაცობანი თქვენნი, რომელიც გამოიჩინეთ სხვა-და-სხვა ალაგს, სხვა-და-სხვა სარბიელზედ; ღირსეულს ქებასა და დიდებას თქვენსას უჩემოდაც ამბობენ. თქვენი ღირსებანი ღირსეულად დააფასა ჩვენ მიერ საყვარელმა უავგუსტოესმა ჩვენმა ხელმწიფე იმპერატორმა.

„ჩვენ მხოლოდ იმას ვისურვებთ, რომ ბრწყინვალე სურათი თქვენის მხნეობით მოსილის, განდიდებულის, ცხოვრებისა და მოღვაწეობისა ჯერ კიდევ დიდხანს მნათობლობდეს ჩვენს წინაშე და იყოს დიდი წასაბაძვი მაგალითი ახალგაზრდათათვის, თუ როგორ უნდა ემსახუროს კაცი თავ-განწირულებით მეფესა და სამშობლოსა და დაიცვას წმინდად, შეუბღალველად ანდერძი პატიოსნებისა და ერთგულებისა.

„მაშ იხარებდეთ, მამაცობით მოსილო თავადო, ისე, როგორც შეეფერება ასეთს, თქვენთვის დიდად სადღესასწაულო დღეს; იხარებდეთ ისე, როგორც გეკადრებათ თქვენ, ვითარცა ერთგულსა და კეთილსა მონასა ღვთისასა, რომელმაც, საღმრთო-წერილის სიტყვისამებრ, კი არ დაჰფარა ტალანტი, არამედ ერთი-ორად გაამრავლა 50 წლის სამსახურის განმავლობაში. იხარებდეს თქვენთან თქვენი კურთხეული ოჯახიცა.

„ეს არის გულ-წრფელი მილოცვა, მხნეობით მოსილო თავადო, თქვენთვის დიდად შესანიშნავ დღეს თქვენის იუბილეისას როგორც ჩემის მწყემსთ-მთავრობის მხრივ, ისე იმ ქართველ სამღვდელოების მხრივაც, რომელიც მე მყავს ჩაბარებული.

„იმის ნიშნად, რომ ვილოცავთ იმ სურვილთა აღსასრულებლად, რაც მოვინდომეთ თქვენთვის, გთხოვთ მიიღოთ ჩემგან წმ. ხატი ქრისტე-მაცხოვრისა; ზეცაური მისი კურთხევა იყოს თქვენზედა აწ და მარადის!"

ამ სიტყვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ მიართვა იუბილიარს მაცხოვრის ხატი, . იუბილიარმა მადლობა შესწირა მათ მეუფებას და მასთან მყოფს სამღვდელოებას. ამის შემდეგ უსამღვდელოესი პალლადი წაბძანდა შინ. შემდეგ იუბილიარს მიულოცეს სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენელებმა.

## თიანეთის მაზრიდამ.

აგერ ოცი წელიწადი იქნება, რაც ერწოს-ხეობის ერთ სოფელში და სახელდობრ ტოლათში არსებობს სასოფლო სკოლა. ეს სკოლა იმყოფება «კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების» უწყებაში. ძველა სასოფლო სკოლები, რომელნიც ზემოდ აღნიშნული საზოგადოების უწყებაში იყო, ამ ბოლოდროს უმაღლესი მთავრობის განკარგულებით გადაკეთებულ იქმნენ საეკკლესიო სამრევლო სკოლებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელი ტოლათი, სადაც ეს სკოლა არსებობს, შესდგება ცხრა-ათი კომლი ხევსურებისაგან. საკვირველია, რომ სკოლა ამ ადგილს აუშენებიათ, და არა სოფელს ღულელებში, სადაც ორმოცი კომლი ხევსური სცხოვრებს. მართალია, ეს სოფლები ტოლათიდამ სულ ნახევარ ვერსტზეა დაშორებული მაგრამ ის უფრო კარგი და კანონიერი არ იქნებოდა, რომ, სადაც უფრო ბევრი მცხოვრები იყო, იქ გაეკეთებიათ? 1884 წლამდე სოფელ ღულელებიდამ ბლომად დადიოდნენ ხევსურების პატარა ბიჭები სკოლაში, მაგრამ ამ 1884 წლიდამ ამ სოფლიდამ სკოლაში მოსიარულე ყმაწვილების რიცხვმა ძალიან იკლო. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი, როგორც ეხლა გამოაშკარავდა, ყოფილა შემდეგი: 1884 წელში სოფელს ღულელებში გარდაიცვალა ამ სკოლის ერთი მოწაფე. ამ მოწაფის სიკვდილი ხევსურებს მიუწერიათ ერთი უბრალო ქვიტკირის კოშკისათვის, რომელიც სდგას სოფელს ტოლათში, სკოლის მახლობლად. ამ კოშკს ხევსურები «ლალ-იახსრის ხატს» უწოდებენ. ამ ხატის ლოცვას წელიწადში ხევსურები იხდიან სამჯერ: აღდგომას, გიორგობისთვის 10 ს და ახალ წელსა. ხევსურს თუ რამე ატკივდა და ხელად შესაწირიც დაეწყო, ის მაშინვე ლალ-იახსრის ხატთან მიდის სალოცავად. ზემოხსენებული მოწაფე როცა გარდიცვალა, ხევსურებს უფიქრიათ: ალბად ამ ყმაწვილმა სკოლაში სიარულის დროს რამე აწყენინა ლალ-იახსრის ხატსა და ხატმაც მოჰკლა იგი. ამის მიზეზით დღეს სხვა ხევსურებიც ძვირად უშვებენ თავიანთ შვილებს სკოლაში. თუ რამდენად მტკიცედ არის ეს ცრუ-მორწმუნეობა ხევსურებში გავრცელებული, სჩანს შემდეგი ფაქტისაგან:

ორს სექტემბერს ამ 1887 წ. სოფელს ღელელებში მოვიდა ხსენებულის სკოლის მასწავლებელი ბ. ვ. კოპტონაშვილი. მასწავლებელმა შეამგროვა ხევსურები და გამოუცხადა მათ, რომ შვილები გამოეგზავნათ სკოლაში. ამასთან აუხსნა მათ, თუ რა საჭირო და სასარგებლოა სკოლა. როცა მასწავლებელმა გაათავა სიტყვა, რამდენიმე ხევსურმა ერთხმად მიუგეს: «უჩიტელო, ეგ სკოლა ლალი-იახსრის ხატის მახლობლად არის და მისი განწყრომისა და განრისხებისა გვეშინიან და ამიტომ გვემარხება (გვეძნელება) იქ შვილების გამოგზავნა, თორემ განა ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენც ამ ბოლო დროს ხალხში გავერივნეთ და ჩვენმა შვილებმა მაინც რამე ისწავლონ!» ამ პასუხიდამ სჩანს, რომ უმთავრესი მიზეზი, რომლისა გამო ხევსურები თავიანთ შვილებს არ აგზავნიან ტოლოთის სამრევლო სკოლაში, ყოფილა ეს უბრალო კოშკი. ამიტომ ურიგო არ იქნება მიაქციონ ყურადღება ამ საგანს. განა არ შეიძლება, ეს კოშკი მთლად დაანგრიონ და ამით დაარწმუნონ ხევსურები, რომ ამ კოშკს არავითარიმე ძალა არა აქვს. თუ კოშკის დანგრევა არ შეიძლება, მაშინ სკოლა მაინც მოაშორონ ამ ადგილს და გადიტანონ ან ღულელებში და ან სოფელს ძეერწაულაში, მით უმეტეს, რომ ორივე ეს სოფელი სწორედ ერწოს ხეობის შუაგულ ადგილს არის და სკოლაში მოსიარულე ყმაწვილების რიცხვიც ერთი ორად იმატებს.

ვანო ერწოელი.

# გელათის მონასტერი.

(დასასრული *).

მეფე დავითი მეტად მოწყალე და გულ-შემატკივარი იყო. ის მუდამ მზად იყო შემწეობა აღმოეჩინა გაჭირვებულთათვის. მეფე თავის ხელით ურიგებდა სამოწყალოს ყველას და არ შედიოდა იმის განხილვაში, თუ ვინ რასი მქონე იყო. სამოწყალოის ფარულად დარიგებაში შველოდა მეფე დავითს მისი მოძღვარი. ერთხელ მეფე დავითმა მისცა თურმე თუ თავის მასწავლებელს, ქათალიკოსს იოანნეს, ღარიბების დასარიგებლად 24,000 დრაჰმა. მეფე მუდამ ღარიბებზე ზრუნავდა და ცდილობდა გაეადვილებინა მათთვის ცხოვრება. ამ მიზნით მეფემ თავის ვრცელ სამეფოში მრავალს ადგილს დააარსა თავის ხარჯით სავად-მყოფოები, თავ-შესაფარი სახლები და სკოლები გაჭირვებულთათვის. როცა დავითი სახელმწიფო საქმეებს რჩებოდა, ნახულობდა ავად-მყოფებს და ღარიბებს, თავის ხელით ემსახურებოდა და აძლევდა მათ ნუგეშს. ერთი სიტყვით დავითი ყველას მამამობრივი სიყვარულით ეკიდებოდა. დავითი ამავე დროს ცდილობდა გაეუმჯობესებია სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა და აღემაღლებია სამღვდელოება ხალხის თვალში. ამ მიზნით მეფემ ყველა მონასტრები და საეკლესიო მოსამსახურენი განათავისუფლა ყოველივე სახელმწიფო გადასახადისაგან; მონასტრებს და ეკლესიებს

*) იხ. «მწყემსი» ს № 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწირა დიდ-ძალი ადგილ-მამულები კრებულის სასარგებლოდ. ასეთ მზრუნველობას იჩენდა დავითი არა მარტო საქართველოს მონასტრების, ეკლესიების და მათი მოსამსახურეების შესახებ, არამედ მეფემ ბევრი ფული და ადგილები შესწირა საბერძნეთის წმიდა ადგილების სასარგებლოდ. დიდ-ძალ საჩუქრებს გზავნიდა ხოლმე მეფე იერუსალიმში, კვიპროს და სინაის მონასტრებში. მეფე დავითმა გაამდიდრა და გაამშვენა შავი მთის მონასტერი სირიაში. ამავე დროს დავითი ბევრს ზრუნავდა უფლის საფლავზე. ყოველი მგზავრი, რომელიც კი ცოტა ოდნად დააკვირდება უფლის საფლავის უზარმაზარ შენობას, ადვილად შენიშნავს, თუ რამდენი უშრომიათ ამ წმიდა ადგილის სასარგებლოდ ჩვენი საქართველოს მეფეებთ: დავითს, თამარს და სხვათა. მეფე დავითი მუდამ ზრუნავდა იერუსალიმის მონასტრებზე. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის დავითს აგრეთვე სინაის მთის მონასტრისადმი. თუმცა ეს ადგილი მეტად შორს იყო საქართველოდამ და გზაც საშიში და ცუდი, მაგრამ დავითი ვერც ერთმა ამაებმა ვერ შეაშინა. მან ამ მთაზე ააშენა ეკლესია წმ. მოწამის ეკატერინეს სახელობაზედ. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ამ მთაზე. ამ მონასტრებში და ტაძრებში მეფე აყენებდა ქართველ ბერებს; მონასტრებს და ტაძრებს უგზავნიდა საეკლესიო წიგნებს, ხოლო ეკლესიების და მონასტრების მოსამსახურეთ აძლევდა ყოველთვის წლიურ სარჩოს. მეფე ზრუნავდა არა მარტო ეკლესიაზე; ის ამავე დროს ფიქრობდა თავის ვრცელი სამეფოს კეთილ-განწყობილებაზე: აკეთებდა გზებს, რომლის შემწეობით უადვილებდა ერთმანეთში მისვლა-მოსვლას თავის სახელმწიფოს დაშორებულ მაზრების მცხოვრებთ; აშენებდა ხიდებს, რომლებიც გაფუჭებულნი იყვნენ მტრებისაგან; მეფემ დააყენა მსაჯულები და მოსამსახურენი. უწინდელს დროში ვისაც რამე საქმე ანუ საჩივარი ჰქონდა მეფესთან, მეფის გავლის დროს უნდა შესულიყო მაღლა ხეზედ, ანუ გორაზე, რომ ის დაენახა მეფეს. ამ კაცს იქიდგან უნდა ენიშნებია, რომ მეფესთან აქვს საქმე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებდენ მის თხოვნას. მეფემ შენიშნა, რომ ბევრს მის ქვეშევრდომთ სურსთ მეფის ნახვა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზისა გამო არ შეუძლიათ მასთან მისვლა; ამის გამო მეფემ დააყენა განსაკუთრებით მოსამსახურენი, რომელთაც უნდა მიეღოთ თხოვნები და გაერჩიათ საქმე; დააყენა აგრეთვე მსაჯულები, რომელთაც კალად დაუდგინა ეხელმძღვანელათ საქმეების გარჩევის დროს როგორც ეკლესიური, ისე სამოქალაქო კანონებით და იმ ქვეყნის ჩვეულებებით, სადაც ინიშნებოდენ ხოლმე ისინი მსაჯულებად. რომ სახელმწიფოში დაარსებულიყო წესიერება და მყუდროება და ამაღლებულიყო ზნეობა, მეფემ დააყენა განსაკუთრებით მოსამსახურენი, რომელთაც უნდა მოეხსენებიათ ხოლმე მეფისათვის მის ქვეშევრდომთა ყოფაქცევა. ქვეშევრდომნიც, მეფის სიყვარულობისა და პატივის ცემისა გამო, მორიდებულნი იყვნენ მოეხდინათ რამე უწესოება იმ მეფის წინააღმდეგ, რომელმაც განათავისუფლა და განათლა მთელი სამეფო. დავითის მეფობის დროს მისი ქვეშევრდომნი მოსვენებულნი იყვნენ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისაგან. მეფე გარდაიცვალა 1125 წელში, 56 წლისა შობიდგან. სულ იმეფა 36 წელიწადი. როცა მეფე დავითს მოუახლოვდა სიკვდილის ჟამი, ის აღიჭურვა სიხარულით და შემდეგი ანდერძი დასწერა: «გიბრძანებსთ და მოგაგონებსთ მეფე მეფეთა დავითი, თავის სიკვდილის დღეს და მის ამ ქვეყნიდ განსვლის დროს, ღირსი და მორჩილი ღვთის მლოცველი მამის ბერ-მონაზონის არსენის პირით თქვენ ყველა ქრისტიანებს და მისი სამეფოის ყველა შესანიშნავ ქათალიკოსებს, ეპისკოპოზებს და ყველა მათ, რომელნიც იყავით ჩემს მოწყალებისა ქვეშ შემდეგს: პატარაობიდგანვე მიყვარდა სიცოცხლე, დიდება და მთავრობა და არას დროს არ წარმომიდგენია ის დღე, რომელიც მე დღეს საუკუნოდ მისტუმრებს სამარეში; მენანებოდა ამ ამაო და წუთიერი ცხოვრების თავის დანებება მანობამდე, სანამ თვით ამ ცხოვრებამ არ მიმატოვა და აღვსებული მრავალი ცოდვებით და მწუხარებით არ წარმადგინა იმ მსაჯულის წინაშე, რომელმაც მრავალი მოწყალება მომანიჭა მე ამ ქვეყანაზე. პირველად მან მომცა მე ძე დიმიტრი, რომელიც სიბრძნით, ქველ მოქმედებით და კაცობით უკეთესია ჩემზე, და ჭეშმარიტად ამისთანა მეფე არს ღირსი უფლისა მართალთათვის, დაშთენილთა ამა სოფლად. მივდივარ წინაშე მსაჯულისა, რომლისაგან მივიღე სამეფო, მივდივარ ნუგეშ-ცემული, რომ ძე ჩემი ყოველთვის ჩემი სურვილისა მებრ იქცეოდა. დიდი ხანია მსურდა მოსვენება ამა ქვეყნის ზრუნვათაგან, მაგრამ ვცდილობდი სამეფოის დღე კეთილობაზე, რაიცა უწყის უფალმა, თვით მე და ჩემმა მოძღვარმა. უცებ დავუძლურდი, მე მეგონა დიდხანს ვიცოცხლებდი, მაგრამ მოვსტყუვდი; მეც მამა ჩემსავით წილად მხვდა მოკლე ცხოვრება, რომელიც მე მუდამ მეზიზღებოდა. დღეს, ღვთის განგებით, მივდივარ მე, ხოლო მეფედ მოიწოდების ძე ჩემი, რომელმაც უნდა მართოს ის, რაც მხვდა მე და რაც შემიძენია ჩემის და თქვენის შრომით; ე. ი. ნიკოფსიიდგან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდამ სირიამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე და არგანამდე. მე ჩავაბარე დიმიტრის დანარჩენი ჩემი შვილები და დედოფალი და ვსთხოვე, რომ თავისი უმცროსი ძმა კონსტანტინე აღზარდოს და, თუ ღვთის ძალით, ნიჭიერი გამოდგეს, თავის შემდეგ დააყენოს მეფედ, ხოლო დებს პატივსა სცემდეს, როგორც ჩემს საყვარელს შვილებს. ყოველივე შევასრულე მე პატიოსანი და ცხოველ მყოფელის ჯვარის ძალით და იმასვე ვაბარებ ჩემს სამეფო აბჯარს და საუნჯეს; ფულები მიეცეს უმცროს, ხოლო ჩემს ძვირფას ქვებს და მარგალიტებს ვსწირავ ხახულისა ღვთის-მშობლის ხატსა. ოქროს მახეთები და ვოტანიატი ატენის საუნჯისა, რომელიც მე შევიძინე ჩემის სისხლით, მიეცეს მეფეს დიმიტრის და თუ ის არ ისურვებს, მაშინ ყველა ესენი მიეცეს ჩემს მოძღვარს, რომელსაც ვსთხოვ ღვთის სახელით, რომ ნახევარი ამ საუნჯისა მან მოახმაროს იმ მონასტრებს, რომელთაც მე ვაწყვენინე, რათა ამ მონასტრებში მოსამსახურეთ ილოცონ ჩემთვის. მე მრჩება კიდევ მოუთავებელი მონასტერი, სადაც უნდა განისვენოს ჩემმა და ჩემი შვილების მძვლებმა, და ამას ჯვარი თან მიმყვება. ესლა ჩემმა ძემ, მეფე დიმიტრიმ მოათავოს ის მონასტერი თავის და მისი შთამომავლობის საუკუნოდ მოსახსენებლად. რაც გამიცია, ამას ჩემი შვილი ნუ შეეხება; ის დასახლებული და დაუსახლებელი ადგილები, რომელნიც მე თვითონ შევიძინე, მეფე დიმიტრის შეუძლია უბოძოს ღრამატებით, ვისაც სურს და როგორც ისურვებენ მ არსენი და ქათალიკოსი». როცა დავითმა გაათავა ანდერძი, ჩააბარა ის თავის მოძღვარს, ცოტა შეისვენა, შემდეგ იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, მაიღო წმ. საიდუმლო და ღვთის დიდებაში განუტევა სული თვისი. მეფე დავითს დარჩა ოთხი ვაჟი შვილი: დიმიტრი, მემკვიდრე დავითისა, ვახტანგი, გიორგი, კონსტანტინე და სამი ქალი—კატო, იგივე ირინე შემდეგში საბერძნეთის დედოფალი და თამარი, მეუღლე აქსარტან მირკანელი პრინცისა და რუსუდანი. მეფე დავითის გარდაცვალებამ შეაწუხა მთელი საქართველო შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდე. ქართველებმა დავითში დაჰკარგეს მამა, მასწავლებელი, მფარველი და კეთილის-მყოფელი. დავითის გვამი მისმა მოძღვარმა არსენიმ მთელი სამღვდელოების თანადასწრებით დიდის პატივის ცემით მიასვენეს გაენათის მონასტერში და დაასაფლავეს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკკლესიაში სამხრეთის მხრით *). საქართველოს ეკკლესიამ მეფე დავითი მრავალი ქველ-მოქმედებისათვის და წმიდა ცხოვრებისათვის შერიცხა ივერიის წმიდანთა შორის და დააწესა მის მოსახსენებლად დღესასწაული 26 იანვარს მოსახსენებლად დიდისა, სახელოვანისა და წმიდისა მამისა ჩვენისა მეფე დავითისა **) თვისი შეუამდგომელის და მფარველის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ტახტის წინაშე.

*) დღესაც ამ კარის შესავალ ეკკლესიაში სძევს კლდის ქვის ერთი დიდი თლილი ფიცარი, ნახევრობით გაცვეთილი, რომელზედაც ხუცური ასოებით არის დაწერილი შემდეგი სიტყვები ფსალმუნთ მგალობლისა: «ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნისამდე, აქ დავემკვიდრო (ეს მშვენიერი ლექსი უმეტესად მოსწონდათ ქართველებს). ამ ლექსის გარდა ამ ქვის ფიცარზე კიდევ სხვა წარწერაც ყოფილა, მაგრამ იგი დროთა განმავლობისა გამო წაშლილა, მაგრამ ხალხში ეს ლექსი დღესაც არის დაცული.

**) წმიდა და ღვთის მოყვარე მეფე დავითი, როგორც მას აგვიწერს მისი მოძღვარი არსენი თავის ქებითი სიტყვაში დავითისადმი, ყოფილა მაღალი და მოსრული კაცი; ყოფილა ტან-მრთელი აგებულობისა. მეფე დავითის მოსრულობას გვიმტკიცებენ ზოგიერთი მისი ნივთები, რომელნიც დღესაც ინახებიან გაენათის ტაძრის სალაროში. ასეთ ნივთებს ეკუთვნიან: დავითის ნაქონი ბეჭედი, რომელშიაც თავისუფლად შედის კაცის ხელის სამი თითი, მეფის ნაქონი ქოშები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი და მარგალიტებით; ეს ქოშები ორჯერ მეტია ჩვეულებრივ ქოშებზე და მეფის ქუდი. ამასთან დავითი ყოფილა ძალიან ლამაზი კაცი, თვალები ჰქონებია დიდი, შავი და აზრიანი, წარბები სწორი და სქელი, რომელნიც ამშვენებდენ დავითის მაღალს შუბლსა, ცხვირი სწორე და მუდამ მღიმარე ტუჩები, მოკლე და შავი წვერი და შავი თმა ამშვენებდენ თურმე დავითის ზომიერს თავს. მეფე დავითს თავზე ახურავს ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მორთული დაბალი გვირგვინი; ეს გვირგვინი ძალიან წააგავს ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინებს. დავითის გვირგვინს იქით-აქეთ ჰკიდია მარგალიტების დასაკიდი; დავითს ტანზე აცვია მეფის ტანთ-საცმელი იას ფერისა; ამ ტანთ-საცმელზე მოქარგულია ოქროს სახეები, რომლებიც მორთულნი არიან ძვირფასი ქვებით. ეს ტანთ-საცმელი ჰგავს მღვდელ-მთავრის სტიხარს; მხოლოდ სახელოები აქვს მოკლე. სახელოებზე არის თათმანები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასი ქვებით სამაჯურების მზგავსად; მაჯას ზემოდ სახელოებზე შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი, რომელიც მორთულია ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით. საყელოს გარშემო შემოყოლებულია ოქროს ქსოვილი ბეჭებამდის და იქით აქეთ არის გადაშვერილი თავები სამღვდელ-მთავრო ომოფორის მზგავსად. გადაშვერილი თავები ბოლოზე შეერთებული არიან მზგავსივე ნაქარგით, რომელიც მორთულია მრავალი ძვირფასი ქვებით და მოდიდო მარგალიტებით; სტიხარზე შემორტყმული აქვს ვიწრო და ძვირფასი ოქროს სარტყელი. მარჯვენა ხელში უკავია გაენათის ტაძარი, ხოლო მარცხენაში—გრაგნილი; ფეხებზე აცვია ქოშები, რომელთაც ზემო პირი აქვსთ გაკეთებული წითელი ხავერდისაგან; ეს ხავერდი ძვირფასად არის მოქარგული; ქოშებს წვეროები ცოტა ზემოთ აქვსთ აშვერილი, პერსიელების ქოშების მზგავსად, სდგას მდიდარს ოქროს ხალიჩაზე. ამ სახით დავითი დახატულია საქართველოს ძველი ეკკლესიების კედლებზე, რომელნიც აშენებულან დავითის დროს და გაენათის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე. მზგავსივე გამოხატულება მეფე დავითისა არის ქვათა-ხევის საკრებულო ტაძრის კედელზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები და შენიშვნები.

22 ნოემბერს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი თ. ბაგრატიონ მუხრანსკი კეთილ-შობილებითურთ გამოეცხადა მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ახალს ექსარხოსს პალლადის, რომელსაც მოახსენა სიტყვა; ეს სიტყვა დაბეჭდილი იყო გაზეთ „ივერიაში", რომლიდგანაც მოგვყავს იგი:

«თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ,
უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო!

ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფე იმპერატორის ნებითა თქვენ მოწვეულ იქმენით მართლ-მადიდებლის საქართველოს ერის ექსარხოსად და თქვენის მობრძანების პირველ დღესვე გაისმა სამახარობლო სიტყვა თქვენი: «მე მოვედი აქ და თან მომაქვს მშვიდობა და კურთხევაო». არა ნაკლებ საგულისხმოა, არა ნაკლებ ღრმად ჩანერგილ იქმნა ჩვენს გულში მეორე სამახარობლო ნუგეში თქვენი: «მე მოვედი, რათა უსრული დავასრულო და ნაკლებული გავასწოროვო».

აი ყოველივე ეს მაბედვინებს მე საქართველოს თავად-აზნაურობის სახელითა მოგეგებოთ თქვენ, ვითარცა მწყემსს, თავისის სამწყსოს მაკურთხებელს და მართლ-მადიდებლობის ერთგულ საქართველოს ერისათვის მშვიდობის მომავლინებელს და ნუგეშინის მომცემს ნაკლებულის გასწორებად.

თქვენო მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობავ! ათას ხუთასი წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს ეკკლესია; ათას ხუთასი წელიწადია იგი მოწმობს სიწმიდეს და ჭეშმარიტებას დიდის მართლ-მადიდებლის აღმოსავლეთის ეკკლესიისა. ამ ხუთმეტ საუკუნეთა სივრცეზედ საქართველოს ერი ერთს წუთსაც არ განდრეკილა წმიდის მართლ-მადიდებლის მოძღვრების დოღმატთა და ჭეშმარიტებათაგან. მან არ უმტყუნა რჯულს და სარწმუნოებას საშინელის კვეთების ქვეშ ჩინგისხანთა, თემურლანგთა და სხვათა ურდოთა უცხო რჯულთასა, ზედ მოსეულთა, რათა აღმოფხვრან ქართველის გულისაგან წმიდა გრძნობა ქრისტეს სარწმუნოებისა. ესეთივეა საქართველოს ერი დღესაც.

მაგრამ ზოგიერთა კაცთა შორის, რომელნიც ნაკლებად გვიცნობენ ჩვენ, მაინც არსებობს აზრი, ვითომც სარწმუნოება ქართველისა დაბალ ხარისხზედ იმყოფება. ეს მხილება მართალი არ არის. გრძნობა ღვთის-მოყვარეობისა ღრმად ჩანერგილია ყოველის ქართველის გულში, განდიდებულია მის მრავალ საუკუნოვან ისტორიითა და შემოწმებულია მისის სისხლითა. შესაძლოა მხოლოდ ითქვას, რომ სარწმუნოებრივი გრძნობა რაოდენადმე დაუძლურდა, შესუსტდა აქაურ მკვიდრთა შორის. უმთავრესი მიზეზი ამისი იმაში მდგომარეობს, რომ არა გვყვანან კარგად მომზადებულნი მსახურნი ეკკლესიისანი, რომელთაც შესძლებიყოთ შეუსუსტებლად დაეცვათ მკვიდრთა შორის მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გრძნობა სარწმუნოებისა. ეს ნაკლულევანება აიხსნება იმით, რომ კმა-აყოფილი არ არის პროგრამმა აქაურის სემინარიისა, რომელიც ამზადებს საქართველოს მღვდელ მსახურთა: ამ პროგრამმაში მეტად მცირე ადგილი უპყრია ქართულს ენას, ასე რომ ბევრმა მღვდელმა, სემინარიაში კურს-შესრულებულმა, სრულიად არა იცის რა საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და ეძნელება თვით კითხვა ლოცვებისა და სამღვთო წერილისა, რომელთა სიტყვიერება დღესაც ადვილად გასაგებია საქართველოს ერისათვის. მე აღარ ვახსენებ იმას, რომ სრულიად გაუქმებულია სიტყვა მქადაგებლობისა, რომელიც ასე ძლიერ ჰშველის სარწმუნოების გაძლიერებას და სასულიერო თანაზიარობას მწყემსსა და სამწყსოს შორის.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს შევაწუხო ყოვლად ამით თქვენი მამა-მთავრული ყურადღება იმ უეჭველ ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ერს, რომელსაც ჰქონია მრავალ საუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება, — იგი წარსული დაივიწყოს. ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმრთისა, ერთგულ-ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულ-მოდგინეობა მამულისათვის.

ჩვენ ეხლანდელნი შთამომავალნი ამ ერისა, მოვსულვართ რა აქ თქვენთან, ვითარცა ჩვენს ახალ მამა-მთავართან, რათა მოგილოცოთ მშვიდობით მობრძანება და მივიღოთ თქვენგან თქვენი ლოცვა-კურთხევა, გთხოვთ დაგვიახლოვდეთ ჩვენ, გაგვიცნოთ, ინებოთ და ჩვენი საჭიროება იუწყოთ და გულ-მტკივნეულობით მოჰხედოთ ჩვენს სისუსტესა და ნაკლულევანებასა. ჩვენ, ჩვენის მხრითა მორჩილ ვექნებით თქვენს ბრძანებასა, რადგანაც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ბრძანებანი თქვენნი სულიერს მოთხოვნილებას საქართველოს ერისას წინ არ აღუდგებიან.

უფალი ღმერთი შეგვეწიოს თქვენცა და ჩვენც, რათა განვახორციელოთ იგი სასიქადულო აზრი, რომელიც თქვენ წარმოსთქვით თქვენის მობძანების დღეს: დავადგინოთ სულიერი კავშირი და თანაზიარობა მწყემსსა და სამწყსოს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიტყვა,

თქმული მაღალ ყოვლად სამღვდელოის, საქართველოს ახალი ეგზარხოსის პალლადისაგან სიონის სობოროში, მათი მეუფების საქართველოს სამწყსოში პირველად შემობძანების დროს 18 ნოემბერს 1887 წელსა.

«გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, და იხილო შენ კეთილი იერუსალიმისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა». (ფსალ. 127, 6).

ღვთის კურთხევით და სახელითა უფლისათა მოვველ შენთან, ღვთის მიერ ჩემდამო მონიჭებულო ძველთა-ძველო და სახელოვანო საქართველოს სამწყსო. ყოვლად კურთხეული ღვთის-მშობლის კურთხევით ვიღებ ჩემ თავზე მწყემსებრივ მართვას ამა ქვეყნისას, რომელიც არის წილ-ხდომილი ღვთის მშობლისა. ღვთის კურთხევა, მშვიდობა ქრისტესი, სულიერი სიყვარული და კეთილი სურვილი მომაქვს თქვენთვის მე, მორჩილ თქვენს ახალს მწყემსთ-მთავარს, საყვარელნო ძმებო და შვილნო ჩემნო.

მე გითხარით: მომაქვს კურთხევა ამა ქვეყნისათვისო. მაგრამ ქვეყანა ესე ძველი დროიდგანვე, მეოთხე საუკუნიდამ ქრისტეს შემდეგ, იმყოფება ჩვენი მაცხოვრის, ზეციურ მწყემსთ-მთავრის განსაკუთრებით ხილულ და ზეციური დედოფლის უმაღლოვნესის კურთხევასა და მფარველობასა ქვეშე. სწორედ მეც თვითონ თავმდაბლათ უნდა მოვიდრიკო თავი და ვსთხოვო ლოცვა-კურთხევა საქართველოს ეკკლესიის წმიდანებს. დიახ, ეს კურთხეული ქვეყანა პირველიდგანვე განათლებულია ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებით და ქრისტიანული კეთილ ცხოვრებით, გამშვენებული მრავალი შესანიშნავი ტაძრებით, რომელნიც აღნიშნულნი არიან აქაურს მატიანებში, გამშვენებულია მრავალი უდაბნოებით, ნათლდება სასწაულთ-მომქმედი ხატებით და პატიოსანი მრავალ-ჯკურნებიანი ნაწილებით, რომელნიც განისვენებენ ამა ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში. ნანა ეგე ყოველი ცხადი მოწამე ვებელი არ არის, იმისი რომ ამ ქვეყანაზე არის ღვთის [illegible] განსაკუთრებითი კურთხევა? [illegible], რომ ამ ქვეყანას აქვს [illegible] ძველი დროიდგანვე ცხოველი სარწმუნოების და კეთილ ცხოვრების ძალი? დიახ, ვხედავ, რომ საქართველოს სამწყსოში შემდეგ დროებშიაც იქნება ასეთი ქრისტიანული ცხოვრება! ყოვლად მოწყალეო უფალო! იყოს უკუნისამდე შენი მადლი და მოწყალეობა ყოვლად პატიოსანი დედისა შენისა წილ-ხდომილს ქვეყანაზე, და გამოაჩინე აქ შემდეგ დროებშიაც ძალი შენი სავკეთილდღეოდ, საცხოვრებლად და ღვთისა სამსახურებლად (2 ეპის. პეტრე მოციქ. 1, 3).

კარით შემოვალ ეზოსა ცხოვართასა (იოან. 10, 1), წმიდისაებრ ნებისა შენისა, რომელმაც ბრძანე სიტყვანი ესე: მე ვარ გზა (იოან. 14, 6). მე ვარ კარი ცხოვართა (იოან. 10, 7). აგრეთვე ღვთის-მიერ ცხებულის, კეთილ მორწმუნე ჩვენი თვით-მპყრობელი ხელმწიფის ბრძანებით, რომლისა გული არის ხელთა შინა ღვთისათა, მივიღე მე დღევანდელი ჩემი დანიშნულება, რომელიც მიჩვენებს მე ახალ-გზას ცხოვრებაში, ახალ წილს მსახურებისას (საქმე მოც. 1, 17), რომელიც შეადგენს უფრო ვრცელ მწყემსებრივ მოღვაწეობის სარბიელს. ასე, მე მოვედი შენთან, ღვთისაგან მონიჭებულო ჩემო ახალო სამწყსო, მაგრამ მე არა თავით ჩემით მიმიღია პატივი საქართველოს ეკკლესიის მღვდელ-მთავრობისა, არამედ მოწოდებულ ვიქმენ ამისათვის ღვთის ნებით, ვითარცა იგი აარონი (ებრ. 5, 4), მოვედი შენთან სამღვდელ-მთავრო კვერთხით, როგორც მამა და მასწავებელი წმიდა საქმისა, რომელიც ღვთისაგან მონიჭებულ მაქვს, რათა წარვმართო სიტყვა ჭეშმარიტებისა (2 ტიმოთე 2, 15), რათა ვიქადაგო როგორც ამა ქალაქში, ისე ამა ქვეყნის სხვა ქალაქებში, და კუთხეებში, გამცნოთ თქვენ ცხოვნება, გარდმოგცეთ თქვენ სწავლა სარწმუნოებაზე, სასოებაზე და სიყვარულზე, გარდმოგცეთ თქვენ მშვიდობა და კურთხევა. მშვიდობა ქრისტესი და ღვთის კურთხევა შენდამი ღვთისაგან დაცულო საქართველოს სამწყსო და მწყესნო, რათა იყვარებოდეთ ურთი ერთმანეთს! მშვიდობა ქრისტესი და კურთხევა ღვთისა იყოს ღვთისაგან დაფარულ სამეუფო ქალაქსა ამას და სხვა ყველა ქალაქებს და სოფელთა ზედა! ზეციური დედოფლის საფარველი და მისი დიდი მეუამდგომელობა იყავნ თქვენზედა, საყვარელნო ძმანო! ზეციური მაცხოვარებითი მშვიდობა დაემკვიდროს თქვენს ოჯახებში, გულთა შინა თქვენთა და ამასთან ერთად დაემკვიდროს თქვენ შორის ზეციური კურთხევა, რომელიც აღაშენებს სახლსა და მათ კეთილ-დღეობას და უმეტესად განამტკიცებს ჩვენი სულისათვის ცხოვნებას.

ღვთის შეწევნით (მარ. 16, 20) და ზეციური დედოფლის მადლიანი საფარველით, რომელიც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული მფარველი ამა ქვეყნისა, ვღებულობ ჩემს თავზე მეტად ძნელს და პასუხ საგებელს მოღვაწეობას და იმედი მაქვს ღვთის და ყოვლად წმიდის ყოვლად შემძლე შემწეობისა დამოწყალებისა. წმიდანო ღვთის სათნონო და წარმომადგენელნო ამა ქვეყნისა ღვთის ტახტის წინაშე, დიდო და ძლევამოსილო გიორგი და მოციქულთა სწორო ნინა და სხვანო მეუდრებელნო ჩვენნო! გულს მოდგინებით მოვილტვი თქვენდამი, რათა შემწე მეყოთ მე მეოხებითა თქვენითა. შემდეგ ამისა, მოვიგონებ რა მოციქულის სიტყვას: ილოცვიდეთ ურთი-ერთ არს (იოან. 15, 16), მოგმართავთ თქვენ, ჩემნო უმახლობელესნო თანამშრომელნო მწყემსნო და ყველა თანაერთ-მოსამსახურენო, რომელნიც მოწოდებულხართ ამა წმიდა ქალაქის მართველად, რათა შემეწიოთ მე თქვენი ერთგული შრომით და შემწეობით, რამეთუ მრავალ არიან აქ სამკალნი, რომ თქვენის შემწეობით ჩემი მწყემსთ-მთავრული ტვირთი იქმნეს თუ სულ მსუბუქ არა, შემეძლოს მაინც ვზიდო იგი და არ იძლიოს ძალა ჩემი, რათა შრომა ჩვენი არ იქმნეს უნაყოფოდ წინაშე ღვთისა და მწყემსებრივი სამსახური ჩვენი გამოჩნდეს მუშაკად ურცხვენელად წინაშე ღვთისა (2 ტიმოთე 2, 15), რამეთუ ესე არს კეთილ და სარგებელ კაცთა (ტიტ. 3, 8), რომ ჩვენ ერთ ძალით ყოველივე კეთილი და სასარგებლო დავიცვათ აქ, დაუსრულებელი დავასრულოთ, ხოლო უსრულესი სრულ ვყოთ.

იმაზე უფრო უმაღლესი და სასიხარულო არა არის რა მწყემსისათვის, როდესაც ის უყვარს მის სამწყსოს და როცა მათ ერთმანეთში კაი განწყობილება აქვსთ. რა შეადგენს მწყემსისათვის იმედს, სიხარულს, ანუ დიდების გვირგვინსა? (1 სოლ. 2, 12)! ყოველივე ამის მომასწავებელი არის მორწმუნე სამწყსო, რომელიც თავის სარწმუნოებას ამტკიცებს სიყვარულით და მზად არის მორჩილ ექმნეს მწყემსთ-მთავარს. ამიტომ ვითხოვ, ჩემდამო რწმუნებულნო ერნო, თქვენს სიყვარულს და ყურადღებას, რადგან ყველგან ამისთანა პატივის ცემით და სიყვარულით ეპყრობა მართლ-მადიდებელი ერი მღვდელ-მთავრებს.

რომ ჩემსა და თქვენს შორის დამკვიდრდება სასიხარულო დამოკიდებულება, ამის მომასწავებელი და საიმედო ნიშანი არის თქვენგნით ჩემი ასეთი გრძნობით მიღება და შეგებება. ჩემს მოსვლაზე თითქმის მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეიძრნენ და გამოვიდნენ ჩემს შესაგებებლად, ყველანი სიყვარულით და პატივის ცემით იკრიბებიან ჩემა გარშემო და ელიან ჩემგან ლოცვა-კურთხევის მიღებას. ამაში მე ვხედავ ხალხის კეთილ მიმართულებას, ვხედავ, რომ ეს ხალხი თავდადებულია ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკკლესიისათვის, მზად არის დაემორჩილოს კანონიერს მწყემსობას და მღვდელმთავრობას და დიდ პატივსა სცემს მღვდელ-მთავრის ხარისხს. ამიტომ ვევედრები უზენაესს მწყემსთ-მთავარს, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რათა შემდეგ დროებშიაც იქმნეს აქ ამისთანა კეთილი განწყობილება მწყემსთა და სამწყსოთა შორის; მოვიწოდებ ღვთის მადლს, რომელმაც დაამყაროს ჩვენსა და თქვენს შორის ეს უსაჭიროესი კავშირი და ერთობა, რომელნიც ასე სასარგებლონი არიან საზოგადო საქმის რიგიანად წაყვანისა და უმეტეს საცხოვნებლად სულთა ჩვენთათვის.

ხოლო ყველას ერთად მწყემსთა და სამწყსოთა გლოცავთ უფლისა ჩვენისა მიერ იესო ქრისტესა და სიყვარულითა მით სულისათა. თანა მოღვაწე მექმენით მე ლოცვათა შინა ჩემთვის ღმრთისა მიმართ (რომელ. 15, 30); ჩვენცა არა დავსცხრებით თქვენთვის ლოცვითა და თხოვნითა, რათა აღივსნეთ მეცნიერებითა ნებისა მისისათა, ყოველითა სიბრძნითა და გულის ხმის ყოფითა სულიერითა (კოლას. 1, 9—10)

ზეციერო მწყემსთ-მთავარო, ქრისტე მაცხოვარო ჩვენო! მოხედენ სიონით ერსა შენსა და მეოხებითა ღვთის-მშობლისათა, რომელიც არის ყოვლად შემწე და მფარველი ამა ქვეყნისა, დაიცევ იგინი მშვიდობით, კეთილ-დღეობით, დაიფარე იგინი ყოველივე უბედურებისა, მწუხარებისა და განსაცდელისაგან, დაიცევ იგინი ურწმუნოებისა, უ-მეცნიერებისა, ბიწიერებისა და მწვალებლობისაგან, რათა მათ მტკიცედ და შეუცვლელად დაიცვან ჭეშმარიტება შენი და ჭეშმარიტი სარწმუნოებით და კეთილი ცხოვრებით დაიმკვიდრონ საუკუნო ცხოვრება. ამინ.

---

## რედაქციისაგან.

ეს უკანასკნელი ნომერია ამ წლის «მწემსი»-სა. ვისაც გაზეთის ფული ჯერ კიდევ არ შემოუტანია, ვსთხოვთ მორჩილად დაუჩქარონ მის გამოგზავნას რედაქციაში. ვინაიდგან ამ ნომერში ბევრი მასალა შეგვხდა დასაბეჭდად, ამ ნომრისათვის დამზადებულ სურათი აღარ მოთავსდა. მომავალი წლისათვი[illegible] ნომრისათვის გვაქვს დამზადებული [illegible] კლიშეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

### ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,,50 » | 5 ,, | 5 ,,25 » |
| 10 ,, | 8 ,,75 » | 4 ,, | 4 ,,75 » |
| 9 ,, | 8 ,,— » | 3 ,, | 3 ,,50 » |
| 8 ,, | 7 ,,25 » | 2 ,, | 2 ,,75 » |
| 7 ,, | 6 ,,50 » | 1 ,, | 1 ,,50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1 ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდამ 3 საათამდე და საღამობით 7-დამ 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

## მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორკვირეულ გამოცემებზე ქართულს
# „მწყემსზედ“
## და რუსულ «ПАСТЫРЬ» ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოსციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

### ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» | 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» | 3 მ. |
| — ,, ორივე გამოცემა | 6 » | — ,, ორივე გამოცემა | 4 » |
| — ,, რუსული ,, | 3 მ. | — ,, რუსული ,, | 2 მ. |

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში რედაქციის სტამბის კანტორაში ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით; Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

შინაარსი: თბილისის სასულიერო სემინარიასთან წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზედ დაარსებული «ძმობის» ანგარიში.—არა ოფიც. ბაზედ დაარსებული—იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრების შესახებ.—თბილისის სასულიერო სემინარიის «ძმობის» წევრთა კრება.—იუბილეი გენერალ ადიუტანტის თ. დ. ი. მელიქოვისა.—თიანეთის მაზრიდამ.—გელათის მონასტერი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—პირველი სიტყვა ახალი ეკსარხოსისა სამღვდელოებისადმი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 14 Декабря*

საკუთარი მსწ[illegible] [illegible]ბეჭდ-მბეჭდავი რედაქციისა